2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის

განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში

ევროინტეგრაციის და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2016

აბრევიატურა

AA	ასოცირების შეთანხმება
AP	სამოქმედო გეგმა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
CEGSTAR	ს.ს.ი.პ. ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC	ევროკომისია
ENP	ევროპის სამეზობლო პოლიტიკა
ENPI	ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი
EU	ევროკავშირი
EUD	ევროკავშირის დელეგაცია
FA	დაფინანსების ხელშეკრულება
FPIR	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
GCRD	რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია
GEL	ქართული ლარი
GEOSTAT	საქართველოს სტატისტიკის სამსახური
GiZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GoG	საქართველოს მთავრობა
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MoF	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MRDI	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
PCA	პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება
PFM	საჯარო ფინანსების მართვა
SME	მცირე და საშუალო მეწარმეობა
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
RCC	სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები
RDA	რეგიონული განვითარების სააგენტო
RDP	რეგიონული განვითარების პროგრამა (ეროვნული დონის დოკუმენტი)
RDS	რეგიონული განვითარების სტრატეგია (რეგიონული დონის დოკუმენტი)
SPSP	სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა
TA	ტექნიკური დახმარება
TNA	ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
WB	მსოფლიო ბანკი
WG	სამუშაო ჯგუფი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 3

შესავალი 9

ნაწილი1. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების შესახებ ძირითადი ინფორმაცია 11

ფინანსური პროგრესის შეჯამება 12

ფიზიკური პროგრესის შეჯამება 17

რგპ-ს განხორციელების 2016 წლის პირველადი შედეგები 33

ნაწილი 2. რგპ-ით განსაზღვრული რეგიონული კოჰეზიის მიზნების მიღწევის პროგრესი. რეგიონებისთვის ფინანსების განაწილება. 42

ნაწილი 3. დასახული მიზნების მიღწევის პროგრესზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი; საანგარიშო პერიოდში ღონისძიებების დონეზე დასახული ფინანსური და ფიზიკური სამიზნეები. 50

ადმინისტრაციული შესაძლებლობები 53

კლიმატური და ამინდის პირობები. ბუნებრივი კატასტროფები 53

სხვა ფაქტორები 53

ნაწილი 4. 2015-2017 წწ-ის რგპ-ს მართვასთან, განხორციელებასა და პროგრამირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. 55

რგპ-ს 2015 წლის წლიური მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების შეფასება 55

დანართი 1: კონკრეტული ღონისძიებების დონეზე ფინანსური და ფიზიკური პროგრესის მოკლე შეჯამება 64

შემაჯამებელი მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში რიგით მეორე წლიური მონიტორინგის ანგარიშია, რომელიც მოიცავს ინფორმაცია 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) ფიზიკური და ფინანსური პროგრესისა და მიღწეული შედეგების შესახებ, მას შემდეგ რაც 2015 წლის დასაწყისში მისი განხორციელება დაიწყო.

პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო რესურსებით და გარკვეულწილად, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით. ანგარიშის მიზანია ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული პოლიტიკის მიზნების განხორციელების პროგრესის ანალიზის უზრუნველყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, შესაბამისი საჯარო ინფორმირებულობისა და დისკუსიის ხელშეწყობა, განვითარების გამოვლენილ პრობლემებთან მიმართებაში, პროგრამული ღონისძიებების შესაბამისობისა და მათი ეფექტიანობის დასადგენად. ამავდროულად, ანგარიშის მომზადება ევროკავშირის მიმდინარე საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რეგიონული განვითარების სექტორული პოლიტიკის საფინანსო ჩარჩო შეთანხმების მიხედვით, რომელიც საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმდა.

2016 წელს პროგრამის 34 ღონისძიების მთლიანმა დანახარჯმა 1.2 მილიარდი ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით (1.101 მილიარდი ლარი) მნიშვნელოვნად გაზრდილია.

შესრულების მაჩვენებელი 2015 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი გეგმის 97.7%-ია, ან 98.8% 2016 წლის დეკემბერში შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად. ევროკავშირის დაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულების პირობასთან შედარებით, ორივე შემთხვევაში, შესრულების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია *(პოლიტიკის რეფორმის მატრიცა, პოლიტიკის სფერო 3), ევროკავშირის საფინანსო შეთანხმების 2016 წლის შესრულების პირობასთან - პროგრამის ფარგლებში საჯარო/საბიუჯეტო ხარჯების მინიმუმ 80%-იანი ათვისება*". რგპ-ს ფარგლებში ხარჯების ჯამურმა დანახარჯმა 2.232 მილიარდი ლარი შეადგინა, რომელიც 2017 წლის ბოლომდე მთლიანი დაგეგმილი ხარჯის (3.501 მილიარდი ლარი) 65.8%-ია.

მთლიან მიღწეულ მაჩვენებელზე უდიდესი გავლენა იქონია პრიორიტეტმა 1 - „ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა", რაც განპირობებულია იმით, რომ ამ სფეროში გამოყოფილი ასიგნებები მთლიანად, 2016 წლისთვის გამოყოფილი თანხის 58.5%-ია.

წლის პირველ ნახევარში პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს შორის ფინანსური შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებებია. ეს მაჩვენებელი წლის მანძილზე შეიცვალა და 2015 წლის ბოლოს ყველა პრიორიტეტის შესრულება, გარდა ერთისა (ღონისძიება 5), დადგენილი სამიზნეების 100%-ს უტოლდება. წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შესრულების მაჩვენებელი - 2016 წლის პირველ ნახევარში - გამოყოფილი თანხის 39.1% დაიხარჯა, 2015 წლის იგივე პერიოდში კი - მხოლოდ 17.5%, რაც იმის მაჩვენებელია, რომ 2015 წლის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების თანახმად, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის ხარისხი, მომზადების სისწრაფე და შიდა პროცედურები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით კი ისეთი თანხების

ათვისების კუთხით, რომელიც პირდაპირ რეგიონული განვითარების პროექტების დაფინანსებას უკავშირდება.

დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებთან დაკავშირებით, 2016 წელს გამოყოფილი რესურსების ათვისების კუთხით, ყველაზე წარმატებული ღონისძიებაა 4 - „ტურიზმის განვითარება“ - თავდაპირველი გეგმის მიხედვით გამოყოფილი თანხის 125%-იანი ათვისება (მსგავსად წინა წლისა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში საერთაშორისო ტურისტების ვიზიტების მზარდ ინტერესს საქართველო მთავრობა ამ სფეროში სხვადასხვა წამახალისებელი აქტივობების მხარდაჭერით პასუხობს. სხვა პრიორიტეტებში მიღწეული წარმატების მაჩვენებელი 100%-ს უახლოვდება, გარდა პრიორიტეტი 5 - „ადამიანური რესურსების განვითარება და პროფესიული განთლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება ქვე-ეროვნულ დონეზე“, სადაც დაგეგმილი თანხის 92.2% იქნა ათვისებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პრიორიტეტის შესრულების მაჩვენებელი 2015 წელსაც დაბალი იყო, ეს იმის მანიშნებელია, რომ ამ პრიორიტეტის ფარგლებში სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო და ტრენინგ აქტივობების, პროფესიული განათლების სისტემის მასწავლებლებისა და საჯარო მოსამსახურეთა ღონისძიებების დაგეგმვისა და მართვის კუთხით, გაუმჯობესების საჭიროება არსებობს, რაც რეგიონული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ღონისძიებების დონეზე განხორციელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შემდეგ ღონისძიებებში ფიქსირდება:

- 4.1 ტურიზმის ხელშეწყობა - 125%
- 1.3 მყარი ნარჩენების მართვა - 118%

სხვა ღონისძიებების უმრავლესობა 2016 წლის გეგმის მიხედვით განხორციელდა. წარმატების მაჩვენებელი 100% უტოლდება, რაც წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა. გამოყენებული თანხის პროცენტული მაჩვენებელი ღონისძიებებს შორის განსხვავებულად დაფიქსირდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა ღონისძიება 5, სადაც დაგეგმილი რესურსების მხოლოდ 14.8% იქნა ათვისებული ღონისძიება 5.4 ფარგლებში - „პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება“.

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ფიზიკური პროგრესი დამაკმაყოფილებელია და ღონისძიებების უმრავლესობის შემთხვევაში დადგენილი სამიზნეები მიღწეულია. ასევე სავარაუდოა, რომ 2017 წლის სამიზნეებიც დაკმაყოფილებული იქნება. თუმცა, არის რამდენიმე პრიორიტეტი, რომლისთვისაც დაგეგმვის კუთხით, ადმინისტრაციული შესაძლებლობების აშკარა გაუმჯობესების საჭიროება არსებობს. ფიზიკური ინდიკატორების განსაზღვრის კუთხით, ყველაზე დიდი ხარვეზები გამოვლინდა შემდეგი პრიორიტეტების ფარგლებში: 3 - სოფლის მეურნეობა და 5 - „ადამიანური რესურსების განვითარება და პროფესიული განთლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება ქვე-ეროვნულ დონეზე“. სამიზნეებისა და პრიორიტეტების დადგენის კუთხით, შესამჩნევია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პროგრესი, თუმცა დადგენილი სამიზნეები მხოლოდ ცალკეული წლებისთვისაა (2015 და 2016 წწ.) განსაზღვრული.

2016 წელს მთლიანად რგპ-ს ფარგლებში: დასრულდა და გაიხსნა 24 კმ ჩქაროსნული ავტომაგისტრალი თბილისი-ქუთაისი-ბათუმი საავტომობილო გზის დერეფანში (დამატებით 29 კმ. ავტომაგისტრალისა, რომელიც წინა წელს აშენდა), დაიგო 232 კმ. ახალი გზა და

აშენდა/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 32 ხიდს (წინა წელს 44 ხიდი); დაიხურა 4 ძველი ნაგავსაყრელი (13 ნაგავსაყრელი 2015 წელს) და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ნაგავსაყრელს (წინა წელს 15-ს); 11,348 ახალი აბონენტი დაუკავშირდა წყლის სისტემას (2015 წელს მხოლოდ 4,700) და 900 აბონენტზე მეტი წყალარინების სისტემებს ქალაქებში; აშენდა ან განახლდა 792 კმ. წყლის მილები (602 კმ წინა წელს); აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 67.3 კმ. წყალარინების სისტემის ქსელს; განხორციელდა ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირებისა და პრევენციის ღონისძიებები 16 ლოკაციაზე და წყალდიდობის წინააღმდეგ ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარის კალაპოტების გასწვრივ 14 ლოკაციაზე; გადამზადდა ეროვნული სატყეო სააგენტოს 400-მდე სპეციალისტი (300 სპეციალისტი 2015 წელს); გაუმჯობესდა სანიტარული პირობები 22,400 ჰა ტყის ფართობზე; სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია განხორციელდა 55.7 კმ-ზე (მოეწყო - 7.9 კმ, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 47.8 კმ); საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ღონისძიება 2.1-ის ფარგლებში, დაფინანსდა 2597 მიკრო მეწარმე, რის შედეგადაც 5302 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა (ორი წლის მანძილზე სულ 6100-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი); განხორციელდა 46 სარეაბილიტაციო და ახალი საირიგაციო პროექტები (44 პროექტი წინა წელს), რის შედეგადაც დამატებით მოირწყა 25,579 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და გაუმჯობესდა 10,408 ჰექტარი სახნავი მიწის სადრენაჟო სისტემა. მცირე ფერმერებზე გაიცა 1863 სესხი (2015 წელს 4 ათასზე მეტი); 1270 მონაწილე დაესწრო ტურიზმის განვითარებისთვის ორგანიზებულ ტრენინგებს (ოდნავ მაღალი მაჩვენებელია წინა წელთან შედარებით) და განხორციელდა 174 მარკეტინგული აქტივობა. 2016 წელს ტურიზმის პოტენციალის შესახებ სულ 7 რეგიონული კვლევა მომზადდა და გაიხსნა 2 საინფორმაციო ცენტრი; გარდა იმისა, რომ საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში განახლდა და ტექნიკით აღიჭურვა 17 პროფესიული კოლეჯი, 2016 წლის მანძილზე 11 ახალი პროფესიული კოლეჯი, რომელიც პროფესიული განვითარების პროგრამებს ახორციელებენ, აღიჭურვა ტექნიკით და 18-მა საგანმანათლებლო ცენტრმა მიიღო ინოვაციური სამრეწველო ლაბორატორიები; გადამზადდა 110 მასწავლებელი და ექსტენციის თანამშრომელი (2015 წელს მხოლოდ 20), პროფესიული სწავლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, 15 მომსახურების მიმწოდებლის საშუალებით, განხორციელდა ავეჯითა და ტექნიკით უზრუნველყოფის მხარდამჭერი 10 პროექტი; გასული წლის მსგავსად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ დაფინანსდა ასობით შედარებით მცირემასშტაბიანი პროექტი, რის შედეგადაც აშენდა/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 433 ათას კმ. გზას (436 კმ გასულ წელს), 18 წყალმომარაგების ობიექტს (52 კმ. გასული წლის მანძილზე), 12 სპორტულ ნაგებობას (22 ნაგებობა 2015 წელს), 12,3 ათას მეტრ წყალარინების სისტემას და 369 საცხოვრებელ სახლს.

პროგრამის ფარგლებში მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით, 2016 წლის მეორე ნახევარში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განმახორციელებელი უწყებების და ტექნიკური დახმარების პროექტის „რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში, ფაზა II“ დამატებითი ძალისხმევით, თითოეული ღონისძიებისთვის დადგინდა და რაოდენობრივად განისაზღვრა 1 შედეგის ინდიკატორი, რის საფუძველზეც მოხდა დადგენილი სამიზნეების მიმართ მიღწეული პროგრესის პირველადი შეფასება. საერთო ჯამში, რგპ-ს განხორციელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთლიანად საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, განსაკუთრებით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების, წყლის ინფრასტრუქტურის, წყალარინების სისტემების, ნაგავსაყრელების რეაბილიტაციისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებებით. პირველადი შედეგები (შედეგების დეტალური ანალიზი და რგპ-ს გავლენის დადგენა უნდა

განხორციელდეს პროგრამის დასრულების შემდგომ, ექს-პოსტ შეფასების გზით) თითოეულ ღონისძიებაზე შემდეგნაირად გამოიყურება:

1.1 - თბილისიდან ბათუმამდე შემცირებული მგზავრობის დრო 5 საათი და 45 წუთიდან - 5 საათამდე;
1.2 - თანამედროვე მართვისა და გაუმჯობესებული გარემო პირობებით უზრუნველყოფილი ნაგავსაყრელების წილის ზრდა 2014 წელს 23%-დან - 89%-მდე;
1.3 - 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის წილი, 2014 წელს 5.9%-დან 2016 წელს 18.9%-მდე გაიზარდა რეგიონებში (გარდა თბილისი, მცხეთა, რუსთავი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა);
1.4 - პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ნაპირსამაგრი სამუშაოების არეალი 2014 წელს 4.7 კმ-დან 20 კმ-მდე გაიზარდა 2017 წელს;
1.5 - აღრიცხული (ინვენტარიზაცია ჩატარებული) ტყის ფართობი 10.25%-დან 15.62%-მდე გაიზარდა. შედეგი შედარებით ზომიერია.
2.1 - რაც შეეხება მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების კომპონენტს, 2 წლის მანძილზე 6432 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რის შედეგადაც გაიზარდა მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით 2014 წელს 0.44%-დან 2016 წელს 2.2%-მდე.
3.1 - დამატებით გასარწყავდა თითქმის 38,000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 12,000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აღიჭურვა სათანადო სადრენაჟო სისტემით. შედეგად, გაიზარდა გასარწყავებული ტერიტორიის წილი მთლიან ფართობში 2014 წელს 32%-დან - 40%-მდე 2016 წელს.

3.2 - სოფლის მეურნეობის დარგის საკრედიტო პორტფელი 56.5 მილიონი ლარიდან 2013 წელს (პროექტის დაწყებიდან) 365.5 მილიონ ლარამდე გაიზარდა 2016 წელს. თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ აღნიშნული პორტფელის ზრდა სწორედ პროგრამის განხორციელების შედეგად არის განპირობებული.

3.3 - პროგრამის განხორციელების ორი წლის მანძილზე 19 ათასმა საწარმომ გაიარა სურსათის უვნებლობის მიმართ მონიტორინგი, ხოლო სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის ტესტები 7,464 საწარმომ გაიარა. ამ აქტივობების შედეგად საკვებ პროდუქტებში გამოვლენილმა დარღვევების რაოდენობამ 2014 წელს 31%-დან, 2016 წელს, 8.6%-მდე იკლო.

4.1 - 2015-2016 წლების განმავლობაში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, 48.2 მილიონი ლარი დახარჯა. შეიქმნა 2 საინფორმაციო ცენტრი, ჩატარდა 30 ტრენინგი, რომელსაც 2470 ადამიანი დაესწრო, მომზადდა 5 რეგიონული კვლევა და მოეწყო 319 მარკეტინგული აქტივობა. ყველა ამ აქტივობის შედეგად ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა 2016 წლის ბოლოს 2014 წელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა. ასევე, გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში.

5.2 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 22.8 მილიონი ლარი დაიხარჯა 35 კოლეჯის რეაბილიტაციის, ტექნიკით აღჭურვისა და პერსონალით უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად, ახალი სტუდენტების რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, 2016 წელს, გაიზარდა 9.9 ათასიდან - 11.6 ათას სტუდენტამდე.

5.4 - გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა 2015 წლის მონაცემით 519-დან 2754-მდე გაიზარდა 2016 წელს.

5.5 - ეს ღონისძიება ფინანსდება დონორების მიერ და ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. რგპ-ს განხორციელების 2 წლის მანძილზე 500 ათასი ლარი დაიხარჯა მუნიციპალიტეტების, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციების და

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოხელეთა ტრენინგებისთვის. ამ ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობების გადამზადებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობაზე დაყრდნობით, დაანგარიშდა გადამზადებული ადგილობრივი მოხელეების წილი ადგილობრივ დონეზე გადამზადებულ მოხელეთა მთლიან რაოდენობაში, რაც გვიჩვენებს, რომ შედეგის ეს ინდიკატორი 2014 წელს 6.5%-დან 2016 წელს 32%-მდე გაიზარდა.

პროგრამის განხორციელების ამ ეტაპზე ძნელია მისი გავლენის რაოდენობრივი განსაზღვრა რეგიონულ კოჰეზიაზე[1]. ამას უფრო დეტალური და ყოვლისმომცველი ანალიზი სჭირდება და შეფასების მომზადება პროგრამის დასრულების შემდგომ (2017 წელს).

საერთო ჯამში, მთლიანი დახარჯული თანხის 66.2%-ის (795.1 მილიონი ლარის) რეგიონული ჩაშლა მოხერხდა (თბილისის და აჭარის გარდა). ფინანსების რეგიონალიზაციის დონე იგივე მაჩვენებელზეა, როგორც წინა წელს - 69.2% (726.9 მილიონი ლარი). 2016 წელს თანხების უდიდესი წილი -22.1% იმერეთის რეგიონს მოხმარდა, რაც მნიშვნელოვნად შემცირებულია წინა წლის მონაცემთან შედარებით - 34%. რეგიონებმა: სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი და გურია შესაბამისად მიიღეს 16.4%, 14.3% და 12,4%. რეგიონი, რომელმაც მთლიანი გამოყოფილი თანხიდან ყველაზე მცირე წილი მიიღო, როგორც გასულ წელს, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთია - მხოლოდ 3.3% (2.4% 2017 წელს).

საერთო ჯამში, 2015-2016 წლებში თანხების უდიდესი წილი იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და შიდა ქართლის რეგიონებში გადანაწილდა (გრაფიკი 9), რაც ამ სამ რეგიონში მიმდინარე თბილისი-ქუთაისი-ბათუმის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების კონცენტრაციითაც შეიძლება აიხსნას და ასევე, მათი როლით საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში (იმერეთში მდებარეობს ქალაქი ქუთაისი - საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქი და საქართველოს პარლამენტი).

ერთ სულ მოსახლეზე რეგიონული ხარჯვის შესახებ ანალიზმა (საკუთარი შეფასებები) 2 წლის (2015-2016 წლების) მანძილზე და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს შედარებამ გვიჩვენა, რომ პატარა და ღარიბი რეგიონები საკმაოდ მაღალი ფინასური უპირატესობებით სარგებლობენ: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც 2014 წელს მოსახლეობის რაოდენობა 31.9 ათასს შეადგენდა, ბოლო ორი წლის მანძილზე სახელმწიფო ტრანსფერების ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1370 ლარს შეადგენდა, რაც საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე ორჯერ მაღალია (გარდა თბილისი და აჭარა) - 646 ლარი. ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მცირე თანხა გამოეყო კახეთს (ერთ სულ მოსახლეზე 341 ლარი - საშუალო ეროვნულზე თითქმის ორჯერ ნაკლები) და სამცხე-ჯავახეთს (498 ლარი). ცხადია, რომ ზოგიერთ რეგიონს მეტი უპირატესობა ენიჭება სხვა რეგიონებთან შედარებით, თუ რატომ ხდება ასე, ამის დადგენა ინდივიდუალური, სექტორული მექანიზმების ფარგლებში რეგიონული ასიგნებების განაწილების მეთოდების შესახებ უფრო ყოვლისმომცველი ანალიზით იქნება შესაძლებელი.

მთელი წლის მანძილზე პროგრამის განხორციელებაზე ზეგავლენა იქონია სხვადასხვა ხასიათის ფაქტორებმა: მათ შორისაა, მაკრო-ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, ადმინისტრაციული შესაძლებლობები და პოლიტიკური სიტუაცია.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც 2016 წელს რგპ-ს განხორციელებაზე გავლენა იქონია საქართველოს საპარლამენტო არჩევნებია, რომელიც ოქტომბრის თვეში ჩატარდა. არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში იგივე მმართველი პოლიტიკური პარტია მოვიდა კიდევ უფრო მეტად

[1] ევროკავშირის კოჰეზიის (რეგიონული განვითარების გამოთანაბრების) ჩარჩო პოლიტიკა

გამოხატული საპარლამენტო უმრავლესობით. არჩევნების შემდგომ, შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში იგივე პრემიერ მინისტრი ჩაუდგა, თუმცა მთვარობის წევრების შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები შევიდა, მათ შორის ცვლილება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსაც შეეხო. შეიცვალა მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე, სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია, მაგრამ ამ ცვლილებებმა რგპ-ს განხორციელების პროცესი არ შეაფერხა. თუმცა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შემთხვევაში, საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 პუნქტის, 49-ე მუხლის თანახმად საარჩევნო პერიოდში ახალი პროექტების დაფინასების კუთხით დაწესებულმა გარკვეულმა შეზღუდვებმა შესაძლოა გავლენა იქონია ფონდის ხარჯვებთან მიმართებაში.

ანგარიშში წარმოდგენილია რგპ-ს მართვასა და მონიტორინგთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რათა გაუმჯობესდეს პროგრამის განხორციელების შესრულება 2017 წელს, ასევე განსაზღვრულია რეკომენდაციები საქართველოს რეგიონული პოლიტიკასა და კოჰეზიასთან დაკავშირებით, მათ შორის კი მეტად მნიშვნელოვანია:

- 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის პროცესის შემდგომი განვითარება;
- რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე საქართველოს ადმინისტრაციის შემდგომი გაძლიერება, მათ შორის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის (რგსკ) შესაძლებლობების განვითარება მთლიანად პროცესის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად;
- ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შემდგომი გაუმჯობესება რგპ-ს უკეთ მონიტორინგისა და შეფასებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი და საჭიროა;
- სამინისტროებთან და განმახორციელებელ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით ღონისძიებების ცხრილის განახლება, 2017 წლის ბოლომდე ინდიკატორებისა და სამიზნეების სრული სიის განსაზღვრის გზით;
- სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც რეგიონული პროგრამების გავლენასა და მოსალოდნელი შედეგების გაზომვას უზრუნველყოფს და გაერთიანებული იქნება ამ თემასთან დაკავშირებით რგპ-ს განმახორციელებელი უწყებების ტრენინგებთან.
- რგპ-ს შედეგების უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური შედეგებისა და რეგიონული კოჰეზიის კუთხით მისი წვლილის დასადგენად, პროგრამის განხორციელების დასრულების შემდგომ სიღრმისეული შეფასება უნდა მომზადდეს.
- საჭიროა რეგიონული უთანაბრობებისა და მიმართულებების შესახებ ახალი კვლევის მომზადება, სადაც გამოყენებული იქნება „რეგიონული სტატისტიკის მიმოხილვიდან“ მიღებული ინდიკატორების ახალი ნაკრები. აღნიშნული კვლევა სასარგებლო იქნება ახალი 2018-2020 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განვითარებისთვის.

შესავალი

2015-2017 რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების 2016 წლის წლიური კონსოლიდირებული ანგარიშის პროექტი მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციისა და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის (შემდგომში-რგპ) მონიტორინგის გეგმაშია გაწერილი. პროგრამა მოწონებულ იქნა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს. რგპ-ს განხორციელების დაწყების შემდგომ ეს რიგით მეოთხე ანგარიშია. ანგარიშის მომზადების პროცესს მხარს უჭერს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი.

ანგარიშში წარმოდგენილია რგპ-ს განხორციელების ფინანსური და ფიზიკური პროგრესის შეჯამება, ინფორმაცია დღემდე მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით და ასევე პროგრამის შესრულების ზეგავლენა რეგიონულ კოჰეზიაზე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 2015-2017 წლების რგპ-ში. დანართი 1 მოიცავს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რომელიც მომზადდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების, საქვეუწყებოებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ს.ს.ი.პ-ის, დარგობრივი სამინისტროებისა და სააგენტოების მიერ მომზადებულ საინფორმაციო ფურცლებზე დაყრდნობით. ამავდროულად, ანგარიში დამატებით მოიცავს ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ყველა უწყებებთან არაფორმალური შეხვედრების დროს შეგროვებულ ინფორმაციას, ექსპერტებისგან და სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, როგორიცაა სახელმწიფო ხაზინის მიერ მოწოდებული 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური შესრულების ანგარიში, ფინანსთა სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ანგარიშთან დაკავშირებული საკონსულტაციო პროცესი მოიცავდა მუდმივ განხილვებს და მიღებული ინფორმაციის გაზიარებას, მათ შორის იმ საკითხებზე, რომელიც შეთავაზებული რეკომენდაციებთან გამომდინარე, როგორც პროგრამის განხორციელების, ასევე საქართველოს რეგიონული პოლიტიკის მიმართულებებს მოიცავდა.

გარდა ამისა, ანგარიშის პროექტი საჯაროდ განთავსდა რეგიონული განვითრებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ გვერდზე, გასაცნობად დაეგზავნათ სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, განხილულ იქნა 2015-2017 რგპ-ის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ. გარდა ამისა, 2017 წლის მარტში გაიმართა საკონსულტაციო კონფერენცია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის იყვნენ დარგობრივი სამინისტროების, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციები, მუნიციპალიტეტების, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

საკონსულტაციო პროცესის დასრულების შემდგომ ანგარიშის პროექტი მოსაწონებლად წარედგინება საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას (რგსკ).

რგპ-ს წლიური მონიტორინგის ანგარიშის იდენტიფიკაცია

საანგარიშო პერიოდი	იანვარი-დეკემბერი 2016
ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ანგარიშის პროექტის დასრულების თარიღი	მარტი, 2017
რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ანგარიშის მოწონების თარიღი	17 მარტი, 2017

ნაწილი 1. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების შესახებ ძირითადი ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების მიმოხილვა

პროგრამის განხორციელების მიმოხილვის მომზადებისას გამოყენებულ იქნა მონაცემთა ორი ნაკრები: ფინანსური და ფიზიკური, ასევე ინფორმაცია აქამდე მიღწეულ კონკრეტულ შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც შესაბამის სამინისტროებსა და განმახორციელებელ უწყებებთან პირდაპირი გასაუბრებებისა და კონსულტაციების გზით შეგროვდა.

ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოყვანილია შესაბამისი წლიურ „საინფორმაციო ფურცლებში“, რომლებიც მომზადდა ყველა ჩართული განმახორციელებელი უწყების მიერ და მიეწოდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2017 წლის თებერვალში. აღნიშნული საინფორმაციო ფურცლები შეჯამებულია დანართში #1.

ანგარიშში წარმოდგენილია 2016 წლის რგპ-ის ღონისძიებებისა და პრიორიტეტების ფინანსური შესრულება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის დეკემბერში დაზუსტდა. აღნიშნული მონაცემები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის მიერ იქნა მოწოდებული.

2015 წლის დეკემბერში რგსკ-ის მიერ მიღებული რგპ-ის მონიტორინგის გეგმის მიხედვით, 2016 წლისთვის დაგეგმილ ხარჯებსა და 2016 წლის სახელმწიფო ხაზინის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე ხარჯებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა და როგორც გრაფიკში 1 მოცემულია მთლიან მიღწეულ პროგრესზე არ ახდენს გავლენას. შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, ხარჯების მთლიანი ოდენობა მცირედით შემცირდა 1.23-დან 1.216 მილიარდ ლარამდე.

პრიორიტეტების დონეზე განსხვავებები ძალიან მცირეა - ერთადერთი მნიშვნელოვანი სხვაობა გვხვდება პრიორიტეტში 5 - „ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება და პროფესიული განათლების განვითარება“ - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთლიანი გამოყოფილი თანხა 29 მილიონი ლარიდან 10,3 მილიონ ლარამდე შემცირდა.

2016 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილი ხარჯების ყველაზე მაღალი ზრდით გამოირჩევა პრიორიტეტი 3 „სოფლის მეურნეობის განვითარება“, სადაც ხარჯები 264.9 მილიონი ლარიდან 277 მილიონ ლარამდე გაიზარდა, უმეტესწილად შემდეგი ღონისძიებებისთვის 3.2 - „ფინანსებზე წვდომა“ და 3.3 „სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები“ გაზრდილი დაფინასების ხარჯზე.

გრაფიკი 1. რეგიონული განვითარების პროგრამის დაგეგმილი ხარჯების შედარება: თავდაპირველი (2015 წლის დეკემბერი) და 2016 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტი (2016 წლის დეკემბერი).



პრიორიტეტი 1-ის ფარგლებში - „ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა“ მთლიანი ხარჯების ოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (მხოლოდ 2 მილიონი ლარით 700 მილიონ ლარზე მეტი გამოყოფილი თანხიდან). ღონისძიებისთვის 1.3 „წყალმომარაგება, წყალარინების სისტემები და ნარჩენების მართვა“ დაფინანსება 167.4 მილიონი ლარიდან 157.9 მილიონ ლარამდე შემცირდა, ამავდროულად მცირედით, 3 მილიონი ლარით, გაიზარდა დაფინანსება ღონისძიებისთვის 1.1 „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები“.

დეტალური შედარებისთვის, იხილეთ 2016 წლის წლიური მონიტორინგის ანგარიშის ფინანსური ცხრილი, რომლის მიხედვითაც გამოთვლილია ყველა მონაცემი.

ფინანსური პროგრესის შეჯამება

2015-2017 რგპ-ის განხორციელება 2015 წლის დასაწყისში დაიწყო. 2016 წელს, პროგრამის განხორციელების მეორე წელს, ღონისძიებების განხორციელების მთლიანი ხარჯის ოდენობამ 1,2 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის მონაცემებს (1,101 მილიარდი ლარი).

2016 წლის ფაქტიური ხარჯი მთავრობის მიერ 2015 წლის დეკემბერში დამტკიცებული 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **თავდაპირველი გეგმის 97.7%-ია,** ან **98.8%** 2016 წლის დეკემბერში შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით (გრაფიკი 2). **ორივე შემთხვევაში ციფრები მნიშვნელოვნად მაღალია 2016 წლისთვის ევროკავშირის ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების თვალსაზრისით** (პოლიტიკის რეფორმის მატრიცა, პოლიტიკის სფერო 3) - *„რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ფაქტიური წლიური*

*ხარჯი მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები რომელიც წლის მანძილზე რეგიონული განვითარებისთვისაა გათვალისწინებული **80%** უნდა შეადგენდეს, “.*

2015-2017 წლების რგპ-ს ფარგლებში ნაერთი ხარჯების ოდენობამ 2.232 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 2017 წლის ბოლომდე რგპ-ს დაგეგმილი მთლიანი ხარჯის 65.8%-ია (3.501 მილიარდი ლარი).

გრაფიკი 2. 2015-2017 წლების შესრულების მაჩვენებელი – მთლიანად და პრიორიტეტების დონეზე თავდაპირველი გეგმის (დეკემბერი, 2015) და შესწორებული (დეკემბერი, 2016) სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით



გრაფიკი 3 გვიჩვენებს, რომ შესრულების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა პრიორიტეტი 1 – „ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა“, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ პრიორიტეტისთვის გამოყოფილი თანხა მთლიანად 2016 წლისთვის გამოყოფილი თანხის 58.5% შეადგენს (702.4 მილიონი ლარი 1201.2 მილიონი ლარიდან). ამ პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის უდიდესი წილი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობას, განახლება და მოვლა-შენახვას ხმარდება. (516.2 მილიონი ლარი). შემდეგი ღონისძიება, რომლისთვისაც გამოყოფილი ასიგნება საკმაოდ მაღალია რეგიონული განვითარების ფონდია (175 მილიონი ლარი), საიდანაც ფინანსდება მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები (დაწყებული ადგილობრივი გზებითა და წყალარინების სისტემებით და დამთავრებული ქუჩის განათებით და საბავშვო ბაღების მოწყობით), რომელიც ითვალისწინებს რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზნებს, რაც საქართველოს რეგიონების დაბალანსებულ განვითარებას გულისხმობს.

მეორე პრიორიტეტი, რომლისთვისაც გამოყოფილი ასიგნება 277 მილიონ ლარს და 2016 წლისთვის რგპ-ს მთლიანი გამოყოფილი თანხის 23% შეადგენს, სოფლის მეურნეობის განვითარებაა, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობისა და სასოფლო დასახლებების განვითარებისთვის სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს, მათ შორის: სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია (66.3 მილიონი ლარი), აგრო კრედიტები (48,9 მილიონი ლარი) და ვაუჩერული დაფინანსება მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისთვის (51.3 მილიონი ლარი). რგპ-ს ფარგლებში გამოყოფილი თანხების ასეთი კონცენტრაცია ერთის მხრივ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის - ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები,

ასევე წყლისა და წყალარინების სისტემები და მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობის განვითარება, მიუთითებს ამ მიმართულებით არსებულ საჭიროებებზე და მთავრობის მიერ დასმულ პრიორიტეტებზე. სახელმწიფო ფინანსების ასეთი სტრუქტურის მოცემულობით საქართველოში ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის განვითარებისთვის წინადადებები მოცემულია ანგარიშის რეკომენდაციების ნაწილში.

გრაფიკი 3. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის 2016 წლისთვის დაგეგმილი ხარჯი პრიორიტეტების მიხედვით



2016 წლის მეორე ნახევარში პროგრამის განხორციელების ტემპი (58% ან 716.2 მილიონი ლარი) უფრო მაღალია, ვიდრე წლის პირველ ნახევარში (41.1% ან 504.5 მილონი ლარი). ხარჯვის კუთხით წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების ციკლისა და განხორციელებით არის გამოწვეული (ერთად აღებული მთლიანი რგპ-ს ხარჯების 65%), საიდანაც ბუნებრივია, კარგი კლიმატური პირობებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მოცემული სახით ოპერირების წყალობით, პროექტები სრულდება და ფინანსური დაფარვა ძირითადად წლის მეორე ნახევარზე მოდის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ხარჯვითი წილი 2016 წლის პირველ და მეორე ნახევარში, ბევრად დაბალანსებულია, ვიდრე 2015 წელს. გამოყოფილი თანხის მხოლოდ 38% დაიხარჯა 2015 წლის პირველ ნახევარში. განსაკუთრებით გაუმჯობესებულია რეგიონული განვითარების ფონდის შესრულების მაჩვენებელი - 2016 წლის პირველ ნახევარში ხარჯვამ გამოყოფილი თანხის 39,1% შეადგინა, რაც ბევრად მაღალია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან (17.5%) შედარებით.

ეს იმაზე მიუთითებს, რომ 2015 წლის რგპ-ს წლიური ანგარიშის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა ხარისხი, მომზადების სისწრაფე და შიდა პროცედურები, განსაკუთრებით იმ ფონდების მუშაობა, რომლებიც რეგიონული განვითარების პროექტებს აფინანსებენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **მთლიანი შესრულების მაჩვენებელი - ათვისებული თანხები 2016 წლისთვის დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებით, 100% უახლოვდება,** მაგრამ, რა თქმა უნდა არსებობს განსხვავებები ინდივიდუალური ღონისძიებებისა და პრიორიტეტების შესრულების კუთხით.

გრაფიკი 4. პრიორიტეტის დონეზე 2016 წლის ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი 2016 წლის დეკემბრის ბოლომდე რგპ-ს ფარგლებში გამოყოფილ ხარჯებთან მიმართებით (2016 წლის დეკემბერში დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით).



2016 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით, 2016 წელს გამოყოფილი თანხის ხარჯვის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა პრიორიტეტი 4 - „ტურიზმის განვითარების“, შემთხვევაში - თავდაპირველი ასიგნების 125% (გრაფიკი 4), რაც იმის მანიშნებელია, რომ საერთაშორისო ტურისტების საქართველოში ვიზიტის მზარდ ინტერესს საქართველოს მთავრობა ამ სფეროში გაზრდილი წამახალისებელი აქტივობების მხარდაჭერით პასუხობს. ეს მხარდაჭერა, რომელიც სხვა პრიორიტეტებთან შედარებით არც ისე დიდია (28 მილიონი ლარი) მოქნილად ადაპტირებულია მოთხოვნაზე და ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობის კვალდაკვალ გაზრდილია წლის მანძილზე.

მიღწეული პროგრესის მაჩვენებელი პრიორიტეტების უმრავლესობის შემთხვევაში 100% უახლოვდება. გამონაკლისია პრიორიტეტი 5 „ადამიანური რესურსების გაუმჯობესება და პროფესიული განათლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება სუბ-ნაციონალურ დონეზე“, სადაც დაგეგმილი რესურსების მხოლოდ 92.2% იქნა ათვისებული. წინა წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ეს პრიორიტეტი 2015 წელსაც გამოყოფილი თანხების ათვისების კუთხით ჩამორჩებოდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ პრიორიტეტის ფარგლებში შემავალი ღონისძიებების დაგეგმვისა და მართვის კუთხით გაუმჯობესებაა საჭირო, რადგან ამ პრიორიტეტის ქვეშ ხორციელდება ტრენინგ აქტივობები სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების სისტემის მასწავლებლებისა და საჯარო მოხელეებისთვის, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რეგიონული განვითარების ხელშეწყობისთვის.

ღონისძიებების დონეზე (გრაფიკი 5) განხორციელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შემდეგ ღონისძიებებზე ფიქსირდება:

- 4.1 ტურიზმის ხელშეწყობა - 125%
- 1.3 მყარი ნარჩენების მართვა - 118%

სხვა დანარჩენი ღონისძიებების უმრავლესობა 2016 წლის გეგმის მიხედვით განხორციელდა. პროგრესის მაჩვენებელი 100% უტოლდება, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა წინა წელთან შედარებით, სადაც გახარჯული თანხის პროცენტული მაჩვენებელი ღონისძიებებს შორის ბევრად განსხვავდებოდა. (შესადარებლად იხილეთ გრაფიკი 5).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესრულების კუთხით ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა პრიორიტეტი 5, სადაც ღონისძიებისთვის 5.4 „პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება“, დაგეგმილი რესურსების მხოლოდ 14,8% იქნა ათვისებული.

გრაფიკი 5. დაგეგმილი ხარჯების ათვისების პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი (დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით) 2016 და 2015 წლებში რგპ-ს ღონისძიებების მიხედვით.



ფიზიკური პროგრესის შეჯამება

როგორც წინა რგპ-ს მონიტორინგის ანგარიშებშია აღნიშნული, მონიტორინგის გეგმის დანართში #5, რომელიც რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ 2014 წლის დეკემბერში დაამტკიცა, ინდივიდუალური ღონისძიებებისთვის გარკვეული რაოდენობის ინდიკატორებია გაწერილი. თუმცა, სამიზნეებთან მიმართებაში მათი რაოდენობრივი განსაზღვრა არ მომხდარა არც 2015 და არც 2016-2017 წლებისთვის. 2015 და 2016 წელს, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ევროკომისიის რეკომენდაციით, სამინისტროების ძალისხმევით დასახული ინდიკატორების უმრავლესობისთვის 2017 წლისთვის სამიზნე ღირებულებების განსაზღვრა მაინც მოხერხდა. ფიზიკური ინდიკატორების განსაზღვრის კუთხით ხარვეზებია შემდეგ პრიორიტეტებთან დაკავშირებით: 3 „სოფლის მეურნეობა, 4. „ტურიზმის განვითარება“ და 5. „ადამიანური რესურსების გაუმჯობესება და პროფესიული განათლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება სუბ-ნაციონალურ დონეზე“. სამიზნეებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა მოხერხდა რეგიონული განვითარების ფონდის შემთხვევაში, თუმცა დასახული სამიზნეები მხოლოდ ცალკეულ წლებს შეესაბამება (2015 და 2016 წწ.).

ამ მიმართულებით განმახორციელებელი უწყებების მიერ დამატებითი ძალისხმევაა საჭირო, რადგან სამიზნეების განსაზღვრა არსებითად მნიშვნელოვანია შესაბამისი ღონისძიების და მთლიანად რგპ-ს განხორციელების ეფექტურობისა და ეფექტიანობის უკეთ გამოსავლენად.

განმახორციელებელი უწყებების ძალისხმევით დადგენილი ფიზიკური ინდიკატორების წყალობით შესაძლებელი გახდა ფიზიკური პროგრესის გაზომვა, არამხოლოდ მარტივი მყისიერი შედეგების წარმოდგენის გზით, არამედ თუ რას უნდა ველოდოთ 2017 წლის დადგენილი შედეგებით. (ცხრილი 1).

იმ ღონისძიებებისთვის, რომლებსაც სამიზნეები განისაზღვრა (იხილეთ ცხრილი 1) შესრულების კუთხით მიღწეული პროგრესი გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებაში პროგრამირების პერიოდის ბოლოს (2017 წელი) დადებითად უნდა შეფასდეს - რგპ-ს განხორციელების მეორე წლის ბოლოს ღონისძიების უმრავლესობის შესრულების მაჩვენებელი მინიმუმ 65%-ია (მთლიანი გეგმის 2/3). თუმცა ზოგიერთი პრიორიტეტისა და ღონისძიების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 100%-ს ცდება, რაც სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული. ეს რიგ შემთხვევებში დაგეგმვის ხარისხისა და ფიზიკური ინდიკატორის განსაზღვრის შესაძლებლობის პრობლემას უკავშირდება, რაც უშუალოდ ფინანსურ პროგრესს შეესაბამება, სხვა შემთხვევაში, გარკვეული მიზეზებით, შესაძლოა უფრო მკაფიო შემუშავებას საჭიროებდეს.

ფიზიკური განხორციელების კუთხით 2016 წლის მანძილზე რგპ-ის განხორციელებამ თავისი წვლილი შეიტანა შემდეგი მიმართულებით (იხილეთ დანართი 1 - ინდივიდუალური ღონისძიებების დეტალური აღწერა):

- 1.1 თბილისი-ქუთაისი-ბათუმის გზის დერეფანში 24 კმ სიგრძის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის დასრულება და გახსნა; 232 კმ ახალი გზისა და 32 ხიდის მშენებლობა/რეაბილიტაცია;

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები	*რეაბილიტაცია – გზის პერიოდული შეკეთების სამუშაოები*	*კმ*	700	486	55	199	254	83	149	232
	ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა	*კმ*	80	53	12,5	17	29	18	6	24
	ხიდების რეაბილიტაცია – მშენებლობა	*ერთეული*	120	76	10	34	44	10	22	32

- 1.2 ღონისძიების ფარგლებში „მყარი ნარჩენების მართვა“ - დაიხურა 4 ნაგავსაყრელი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ნაგავსაყრელს;

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
1.2 მყარი ნარჩენების მართვ	*ახლადგახსნილი (რეგიონული) ნაგავსაყრელების რ- ბა*	*ერთეული*	0	0	0	0	0	0	0	0
	დახურული, ძველი ნაგავსაყრელების რ- ბა	*ერთეული*	20	17	0,0	13,0	13,0	1,0	3,0	4
	რეაბილიტირებული ნაგავსაყრელების რ– ბა	*ერთეული*	18	18	9,0	6,0	15,0	0,0	3,0	3

- ღონისძიება 1.3 - „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია“ ფარგლებში წინა წელთან შედარებით ინვესტიციების გაზრდის შედეგად 11,348 ახალი აბონენტი დაუკავშირდა წყალმომარაგების სისტემას (2015 წელს მხოლოდ

4,700 აბონენტი); აშენდა ან რეაბილიტაცია ჩაუტარდა 792 კმ წყლის მილებს (წინა წელს 602 კმ) და რეაბილიტაცია ჩაუტარდა/აშენდა 67.3 კმ საკანალიზაციო სისტემის ქსელი.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
1.3 წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*აშენებული და რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა*	*რაოდენობა*	5	0	0	0	0	0	0	0
	აშენებული საფილტრაციო ნაგებობების რაოდენობა	*რაოდენობა*	2	0	0	0	0	0	0	0
	ახალად გამრიცხველიანებული აბონენტების რაოდენობა	*რაოდენობა*	10100	15075	925	2802	3727	8655	2693	11348
	რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საკანალიზაციო სისტემის მილების სიგრძე	*კმ*	არ არის სამიზნე	67,82	0,48	0	0,48	10,34	57	67,34
	რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული წყლის სისტემის მილების სიგრძე	*კმ*	800	1396,431	223,83	381	604,431	495	297	792
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც საკანალიზაციო სისტემას შეუერთდნენ	*რაოდენობა*	350	1203	592	315	907	296	0	296
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც წყლის სისტემას შეუერთდნენ	*რაოდენობა*	10100	16050	1450	3252	4702	8655	2693	11348

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
1.4. ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირება და მისგან დაცვა	*ანალიტიკური კვლევების/რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო ბუნებრივი საფრთხეების განსაზღვრას*	*რაოდენობა*	1	7	1	4	5	2	0	2
	რეგიონული ბუნებრივი საფრთხეების / კატასტროფების პროგნოზირების ადრეული გაფრთხილების სისტემა	*რეგიონების რაოდენობა*	*ყველა მოწყვლადი მუნიციპალიტეტებისთვის*	205	0	3	3	95	107	202
	ბუნებრივი საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების მუნიციპალური გეგმები	*რაოდენობა*	*ყველა მოწყვლადი მუნიციპალიტეტებისთვის*	3	1	1	1	1	1	2
	ზღვისპირა და ნაპირსამაგრი სამუშაოები	*პროექტების რაოდენობა*	50	35	11	10	21	5	9	14
	პრევენციისა და ბუნებრივ კატასტროფებზე მყისიერი რეაგირების სამუშაოები	*პროექტების რაოდენობა*	70	47	22	9	31	11	5	16

- ღონისძიება 1.4 ფარგლებში - ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და მისგან დაცვა, ბუნებრივ კატასტროფებზე მყისიერი რეაგირების და პრევენციის ღონისძიებები ჩატარდა 16 ლოკაციაზე; წყალდიდობის საწინააღმდეგოდ მდინარის კალაპოტის გამაგრების სამუშაოები ჩატარდა 14 ლოკაციაზე; გარდა ამისა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა მთელი რიგი გარემოს დაცვის და კვლევითი აქტივობები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში #1).

- ღონისძიება 1.5 ფარგლებში სამუშაოები გაგრძელდა ტყის აღდგენა/დაცვასა და მართვასთან დაკავშირებით მეთოდოლოგიური და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით. გადამზადდა ტყის ეროვნული სააგენტოს 400-მდე სპეციალისტსა და ტყის მცველს (2015 წელს კი 300), სანიტარული პირობები გაუმჯობესდა 22,400 ჰექტარი ტყის მასივზე, განახლდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 55.7 კმ სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზას;

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	*ნორმატიული დოკუმენტების რაოდენობა (ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზა*	სამიზნე ღირებულების გარეშე	2	18	2	5	7	5	6	11
	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში გადამზადებული სპეციალისტების რაოდენობა	*რაოდენობა*	900	700	240	60	300	400		400
	ტყის სანიტარული პირობების გაუმჯობესება	*ჰა*	86800	48400	26000		26000	22400		22400
	სატყეო გზების რეაბილიტაცია	*კმ*	750	199,32	0	123	123		55,7	55,7
	რეგიონული სატყეო რაიონების რაოდენობა აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუმენტებით	*რაოდენობა*	44 (2016)	44	44	0	44	0		0

- განხორციელების შესამჩნევი პროგრესი შეიმჩნევა ღონისძიების 2.1 – „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა“ ფარგლებში. 2016 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაფინანსდა 2597 მიკრო და მცირე საწარმო, რის შედეგადაც 5302 სამუშაო ადგილი შეიქმნა.
-

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
2.1 ინსტიტუციონალური და პროგრამული აქტივობებით საქართველოს რეგიონებში ბიზნესის ხელშეწყობა	*მხარდაჭერილი საწარმოების რაოდენობა*	*რაოდენობა*	65 (2016)	105	10	16	26	30	49	79
	განახლებული საწარმოები	*რაოდენობა*	20 (2015)	85	12	25	37	22	26	48
	ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობა	*მლნ ლარი*	90 (2016)	179,365495	39	57	96	27	57	83
	განხორციელებული ჯამური ინვესტიციის მოცულობა	*მლნ ლარი*	125 (2016)	285,092416	57	75	132	52	101	153
	რეგიონში შექმნილი მიკრო და მცირე საწარმოების რაოდენობა (მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით)	*რაოდენობა*	3000	3207	0	610	610	535	2062	2597
	შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა	*რაოდენობა*	4800	6432	0	1130	1130	2081	3221	5302
	დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა (მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშწყობის ფარგლებში)	*რაოდენობა*	8725	8880	0	3118	3118	3716	2046	5762

- პრიორიტეტი 3 ფარგლებში - სოფლის მეურნეობის განვითარება, შემდეგი შედეგი დაფიქსირდა:

- სრულად განხორციელდა 46 სარეაბილიტაციო და ახალი საირიგაციო სისტემის პროექტები, რის შედეგადაც დამატებით გასარწყავდა 25 579 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 10,408 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა გაუმჯობესებული სადრენაჟო სისტემებით;

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
3.1 საირიგაციო სისტემის განახლება	*ირიგაციის რეაბილიტირებული და ახალი პროექტების რაოდენობა*	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	90	18	26	44	46		46
	დამატებით გასარწყავებული მიწის ნაკვეთების ფართობი	*ჰა*	31995,374 (2016)	37986	4 123	8 284	12 407	14 468	11 111	25579
	გამართული სადრენაჟო სისტემის მქონე მიწის ფართობი	*ჰა*	5204,626 (2016)	12403	975	1 020	1 995	5 350	5 058	10408

- აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 14 საწარმო (იგივე რაოდენობის საწარმო შეიქმნა 2015 წელს) და გაიცა 1863 სესხი (4 ათასზე მეტი თუ შევადარებთ 2015 წელთან), მრავალი აქტივობა განხორციელდა ღონისძიება 3.3 ფარგლებში – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა“, „სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების თანადაფინანსება“, „სურსათის უსაფრთხოება და მევენახეობის განვითარება“ და „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებები“ (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში #1)

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებული	*პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალი საწარმოებისა და ფერმების რაოდენობა*	*რაოდენობა*	50	28	11	3	14	1	13	14

	ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების რაოდენობა	*რაოდენობა*	2500	5955	2 134	1 958	4092	805	1 058	1 863
3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები	*იმ სკვეები და აგრობიზნესის საწარმოების რაოდენობა, რომელთა მონიტორინგიც ხდება სურსათის უვნებლობის ღონისძიებების თვალსაზრისით*	*რაოდენობა*	8000	19044	3 239	4 985	8 224	4 150	6 670	10 820
	დასრულებული ან პროცესში მყოფი კვლევითი პროექტების რაოდენობა	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	98	43	5	48	50		50
	ქართული ღვინის ხელშეწყობის კამპანიის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების რაოდენობა	*რაოდენობა*	89	156	24	15	39	57	60	117
	შექმნილი სასოფლო კოოპერატივების რაოდენობა	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	1292			856	306	130	436
	სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლისთვის ჩატარებული ტესტების რაოდენობა	*რაოდენობა*	3500	7464	1 144	3 076	4 220	1 385	1 859	3 244

- როგორც ანგარიშის ფინანსურ ნაწილში იქნა აღნიშნული, 2016 წელს (მსგავსად 2015 წლისა) დამატებთი თანხები გამოიყო პრიორიტეტისთვის 4 - „ტურიზმის ხელშეწყობა“. ტურიზმის განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგები, რომელსაც 1270 მონაწილე დაესწრო (ეს მონაცემი მცირედით მაღალია 2015 წელთან შედარებით) და განხორციელდა 174 მარკეტინგული აქტივობა. 2016 წლის მანძილზე სულ ტურიზმის პოტენციალის შესახებ 7 რეგიონული კვლევა მომზადდა და შეიქმნა 2 ახალი საინფორმაციო ცენტრი სამეგრელო ზემო-სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით 2017 წლის პირველ ნახევარში, იმერეთის რეგიონში კიდევ 1 საინფორმაციო ცენტრი გაიხსნება.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
4.1 ტურიზმის განვითარება	*დასრულებული რეგიონული კვლევების რაოდენობა;*	*ერთეული*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	7	0	5	5	0	2	2
	შექმნილი საინფორმაციო ცენტრების რაოდენობა	*ერთეული*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	2	0	0	0	0	2	2
	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	*ერთეული*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	30	9	8	17	6	7	13
	ტრენინგ კურსების მონაწილეთა რაოდენობა	*ერთეული*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	2470	770	430	1200	420	850	1270
	მარკეტინგული აქტივობების რაოდენობა		*არ არის სამიზნე ღირებულება*	319	65	80	145	98	76	174
	განვითარებული „ტურისტული პროდუქტის“ რაოდენობა.	*ერთეული*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	32	4	21	25	3	4	7

- პრიორიტეტი 5 ფარგლებში „ადამიანური რესურსების გაუმჯობესება და პროფესიული განათლების დაწესებულებების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება სუბ-ნაციონალურ დონეზე“ მიღწეული შედეგები მოიცავს:

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
5.1. შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა	მომზადებული შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა	*რაოდენობა*	1	1	1		1	0	0	0

- ღონისძიება 5.2 ფარგლებში გაგრძელდა მხარდაჭერა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული კოლეჯების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით: აღიჭურვა 11 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება და 18 საგანმანათლებლო ცენტრს გადაეცა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
5.2 არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა	*აგებული / განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლები კონკრეტულ რეგიონში*	*რაოდენობა*	20	20	2	7	9	2	9	11
	კონკრეტულ რეგიონებში განახლებული და აღჭურვილი არსებული სასწავლებლები	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	36	5	11	18	5	13	18
	კერძო სექტორის მონაწილეობით აგებული / განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლების რაოდენობა კონკრეტულ დონეზე	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	5	0	0	0	5		5

- ღონისძიება 5.3 ფარგლებში, პროგრამების შემუშავებისთვის დამატებითი დახმარება გამოიყო, რომელიც უკვე შემუშავებულ მოდულურ პროგრამებს ეფუძნება და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგს და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირებას გულისხმობს. 2016 წლის ბოლოს (იხილეთ დანართი #1): 110 მასწავლებელი და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომელი გადამზადდა (2015 წელს სულ მხოლოდ 20), სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა 10 პროექტი - შეძენილ იქნა ავეჯი და ტექნიკა, გადამზადდა 15 მომსახურების მიმწოდებელი.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
5.3 სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადების და ექსტენციის სისტემები	*გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებლების და ექსტენციის სისტემის მომსახურე პერსონალის რაოდენობა*	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	130	20	0	20	110		110
	სასწავლო გარემოს გაუმჯობესების (ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალა და აღჭურვილობა) მიზნით მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	29	19	0	19	10		10
	იმ პროფესიული სასწავლებლებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობა, რომელთაც სოფლის მეურნეობაში ეფექტური და ინოვაციური სასწავლო პროგრამები და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის უნარი გააჩნიათ	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	16	0	0	0	16		16
	გადამზადებული სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომსახურების გამწევთა რაოდენობა (ვეტერინარები, ზოო-	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	40	25 სასწავლოტური		25 სასწავლოტური	15		15

	ტექნიკოსები, საკვების გადამამუშავებლები, სასოფლო-სამეურნეო, სამანქანო ოპერატორები, წარმოების საშუალებების მიმწოდებლები და ცხოველთა საკვების გადამამუშავებლები)									
	იმ კერძო სექტორის მონაწილეების რაოდენობა, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიულ გადამზადებასა და სასოფლო-სამეურნეო ინოვაციების დანერგვაში თავიანთი წვლილი შეაქვთ.	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	10	0		0	10		10
	შექმნილი პლატფორმების რაოდენობა, სადაც პროექტის საჯარო და კერძო მონაწილეების მხრიდან სრული და თანაბარი ჩართულობა იქნება და რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადამზადებისა და ექსტენციის სერვისების დანერგვას უზრუნველყოფს	*რაოდენობა*	*არ არის სამიზნე ღირებულება*	4	2		2	2		2

- ღონისძიება 5.4 ფარგლებში, გაგრძელდა მხარდაჭერა ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის განსახორციელებლად: 2016 წლის ბოლოსთვის პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგებს 2235 მასწავლებელი დაესწრო;

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	2015			2016		
				I ნახევარი	II ნახევარი	სულ	I ნახევარი	II ნახევარი	სულ
5.4 პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება	პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება	რაოდენობა	პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება				მომზადების პროცესში	მომზადების პროცესში	პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია
	საჭიროებათა შეფასების კვლევის მიხედვით დატრენინგებული მასწავლებელთა რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე				142	2093	2235
	რეალურ სამუშაო გარემოში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე				74	255	329

- ღონისძიება 5.5 ფარგლებში UNDP / რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პროექტმა, ვ. ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან (შემდგომში - რეფორმის ცენტრი) მჭიდრო თანამშრომლობით, საჯარო მოხელეთა ტრენინგების პროექტის ფარგლებში ორგანიზება გაუწია 16 ტრენინგ ღონისძიებას (1410 ტრენინგ დღე), 807 საჯარო მოხელისთვის, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებისთვის.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
5.5 რეგიონებში საჯარო მოხელეთა გადამზადება	*მუნიციპალიტეტების რაოდენობა ეფექტური ადამიანური რესურსების მართვის შემუშავებული პოლიტიკით*	*რაოდენობა*	76	76	0	56	56	76		76

	ახალი სასწავლო პროგრამების (კურიკულუმების) რაოდენობა	*რაოდენობა*	12	49	11	22	33	7	9	16
	ორგანიზებული ტრენინგ დღეების/ტრენინგ გავლილი პირების რაოდენობა	*დრეების/პირების რაოდენობა*	4500 (2017)	8832	1541 ტრენინგ დღე	5881 ტრენინგ დღე	7422 ტრენინგ დღე	516	894	1410
	ტრენინგ გავლილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა რაოდენობა (სქესის ნიშნით განცალკევებული)	*რაოდენობა*	2,000 მათ შორის 600 ქალი 1,400 კაცი	3146	768 (338 ქალი / 430 კაცი)	1571 (768 ქალი/803 კაცი)	2339 (1106 ქალი / 1233 კაცი)	402	405	807

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, საიდანაც უმეტესწილად მუნიციპალიტეტების მხრიდან წარდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტები ფინანსდება (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში #1) 2016 წლის ბოლომდე შემდეგი შედეგები იქნა მიღწეული: საქართველოს რეგიონებში (თბილისის გარდა) აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 433 კმ გზას, შედარებისთვის 2015 წელს 436 კმ გზა იქნა მოწყობილი ან რეაბილიტირებული. ასევე, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 წყალმომარაგების ობიექტს (52 ერთეულს ერთი წლის წინ). მოეწყო 34.9 ათასი ერთეული გარე განათების სანათი, აშენდა 12.3 კილომეტრი საკანალიზაციო სისტემა და 369 ადამიანზე განკუთვნილი საცხოვრებელი სახლი.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	განახლებული სამიზნე ღირებულება 2017	ჯამური შედეგი 2016 წლის ბოლოს	2015			2016		
					I ნახევარი	2 ნახევარი	სულ	I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	*გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია*	*მეტრი*	457,8 (2016)	869	56,4	379,6	436,0	140,0	292,7	433
	წყლის სიტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*მეტრი*	522,07 (2016)	996	14,0	538,2	552,3	21,7	422,5	444
	წყლის სიტემების სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	*პროექტების რაოდენობა*	20 (2016)	70	0	52	52	1	17	18
	საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*პროექტების რაოდენობა*	96 (2016)	214	0	128	128	9	77	86
	სპორტული ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*პროექტების რაოდენობა*	14(2016)	34	0	22	22	7	5	12
	კულტურული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*პროექტების რაოდენობა*	14 (2016)	32	0	24	24	2	6	8
	ქუჩის განათება	*მეტრი*	34935 (2016)	###### ####	0	50 770,0	50 770,0	###### ###	31 560,0	34935
	ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*პროექტების რაოდენობა*	11 (2016)	26	0	15	15	3	8	11

	ნაპირსამაგრი სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*მეტრი*	1988 (2016)	2 359,4	0	2,4	2,4	170,0	2 187,0	2357
	სადრენაჟო სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*მეტრი*	3929,0 (2016)	6 084,0	0	40,0	40,0	###########	3 694,0	6044
	მრავალ ოჯახიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია	*პროექტების რაოდენობა*	402 (2016)	633	0	264	264	3	366	369
	წყალარინების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია	*მეტრი*	16823 (2016)	12 287	0	0	0	1 836	10 451	12287
	დასვენების ობიექტები		8 (2016)	8	0	0	0	1	7	8
	სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	*პროექტების რაოდენობა*	7	133	0	127	127	0	6	6

რგპ-ს განხორციელების 2016 წლის პირველადი შედეგები

რეგიონული განვითარების პროგრამის უფრო ფართო შედეგებთან დაკავშირებით შეფასება უნდა მომზადდეს პროგრამის განხორციელების დასრულების შემდგომ. 2015-2017 რგპ-ში განსაზღვრულია პრიორიტეტები და ღონისძიებები, რომლებიც თითოეული პრიორიტეტის/ღონისძიების განხორციელებისთვის გამოყოფილ ფინანსურ ასიგნებებთან ერთად პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ. პროგრამის მონიტორინგისთვის შესაგროვებელი მონაცემების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის გეგმაში“ და ასევე „ღონისძიებათა დეტალურ ცხრილში 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის ხელშეწყობისთვის“. აღნიშნულ დოკუმენტებში თითოეული ღონისძიებისთვის განისაზღვრა ინდიკატორები, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, სამიზნეებთან მიმართებაში მათი რაოდენობრივი განსაზღვრა არ მომხდარა არც პროგრამის მთლიანი განხორციელების პერიოდისთვის და არც თითოეული წლისთვის.

2015 და 2016 წელს, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ევროკომისიის რეკომენდაციით, სამინისტროების ძალისხმევით დასახული ინდიკატორების უმრავლესობისთვის სამიზნე ღირებულებების განსზღვრა მაინც მოხერხდა, თუმცა ზოგიერთ ღონისძიებას და აქტივობას კვლავ არ გააჩნია შედეგის ინდიკატორი და სამიზნე ღირებულება, ზოგიერთი აქტივობის შემთხვევაში კი განხორციელების პროგრესის გასაზომად ჯერ კიდევ არ არის ინდიკატორი დადგენილი. რგპ-ს განხორციელების დაგეგმილი შედეგების შემთხვევაში მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად არადამაკმაყოფილებელია. „მონიტორინგის გეგმა“ არ შეიცავს შედეგის ინდიკატორებს, ხოლო „ღონისძიებათა დეტალურ ცხრილში“ თითოეული ღონისძიებისთვის დადგენილია შედეგის ინდიკატორები, თუმცა არა რაოდენობრივი თვალსაზრისით.

2016 წლის მეორე ნახევარში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სხვა განმახორციელებელი უწყებების დამატებითი ძალისხმევით და ტექნიკური დახმარების პროექტის „რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში II“ მხარდაჭერით მოხდა თითოეული ღონისძიებისთვის მინიმუმ ერთი ინდიკატორის განსაზღვრა, რის საფუძველზეც დასახული მიზნების მიღწევის პროგრესის პირველადი შეფასება გაკეთდა. შედეგის ინდიკატორის გაუმჯობესება და შეგროვება, ასევე თითოეული პრიორიტეტის ქვეშ მათი რაოდენობის გაზრდა 2017 წლის ერთ-ერთი ამოცანა უნდა გახდეს, რაც რგპ-ს განხორციელების დასრულების შემდგომ, პროგრამის ეფექტიანობის უკეთ შეფასებას უზრუნველყოფს. ამ სამუშაოს შედეგი წარმოდგენილია ცხრილში #2, ასევე შემაჯამებელი აღწერა მოცემულია ქვემოთ.

შედეგის ინდიკატორები ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტებისა და სხვადასხვა უწყებების ერთობლივი მუშაობითა და კონსულტაციებზე დაყრდნობით შეირჩა. სამინისტროებისა და განმახორციელებელი უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების გარდა, მონიტორინგის ანგარიშის მომზადების დროს გამოყენებულ იქნა სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები.

1.1 - გზებისა და ხიდების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის საქართველოს გზების დეპარტამენტის მიერ 2015 წელს 474.1 მილიონი ლარი დაიხარჯა, ხოლო 2016 წელს 509.4 მილიონი ლარი. 2 პროგრამული წლის მანძილზე, გზების დეპარტამენტის მიერ აშენდა 24 კმ ჩქაროსნული ავტომაგისტრალი თბილისიდან ბათუმის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

დედაქალაქის და შავი ზღვის პორტის მიმართულებით, რის შედეგადაც მგზავრობის დრო 5 საათი და 45 წუთიდან 5 საათამდე შემცირდა.

1.2 - 2015 და 2016 წლებში მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ 27,2 მილიონი ლარი დაიხარჯა სხვადასხვა რეგიონში 17 ნაგავსაყრელის დახურვისა და 18 ნაგავსაყრელის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის. ჩატარებული სამუშაოების შედეგად 2016 წლის ბოლოს თანამედროვე მართვით და გაუმჯობესებული გარემო პირობებით უზრუნველყოფილი ნაგავსაყრელების წილი 2014 წლის მონაცემით 23%-დან 89%-მდე გაიზარდა.

1.3 - პროგრამის განხორციელების პირველი 2 წლის მანძილზე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ 293.6 მილიონი ლარი დაიხარჯა 1278 კმ წყლის მილების რეაბილიტაციისთვის, რის შედეგად წყალმომარაგების სისტემას 15000-ზე მეტი ახალი აბონენტი დაუკავშირდა. თუმცა, მიღწეული შედეგი არც ისე მაღალია, რადგან მოსახლეობის წილი 24 საათიანი წყალმომარაგებით კვლავ დაბალი რჩება. პროგრამის განხორციელების 2 წლიანი პერიოდის მანძილზე თბილისის, რუსთავის, მცხეთის და აჭარის გამოკლებით, რეგიონებში ეს ინდიკატორი 2014 წელს 5.9%-დან 2016 წელს 18.9%-მდე გაიზარდა.

1.4 - ორი წლის მანძილზე, 42.8 მილიონი ლარი დაიხარჯა ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებისა და პრევენციის მიზნით. 2016 წლის ბოლომდე საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მონაცემების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა იმ შედეგების გაზომვა, რომელიც გარემოს დაცვას, მონიტორინგს, პროგნოზირებას და პრევენციას უკავშირდება. საქართველოს გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 35 ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტი, რის შედეგადაც გაიზარდა 2 კილომეტრიან ბუფერულ ზონაში მცხოვრები, ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცული მოსახლეობის რაოდენობა 159,000-დან 2014 წელს, 356,000-მდე 2016 წელს. ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფარვის არეალი 2014 წელს 4.7 კმ-დან 20 კმ-მდე გაიზარდა.

1.5 - სანიტარული პირობები გაუმჯობესდა 2015 წელს 26,000 ჰექტარზე და 22,400 ჰექტარზე 2016 წელს. 2015-2016 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 178.9 კმ სატყეო გზას. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ შემოთავაზებულ იქნა შემდეგი შედეგის ინდიკატორის გამოყენება: აღრიცხული (ინვენტარიზაცია ჩატარებული) ტყის ფართობის წილი (ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია და იმართება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად) მთლიან ტყის ფართობთან მიმართებაში, რომელიც 10.5%-დან 15.62% გაიზარდა. შედეგი ამ მიმართულებით მოკრძალებულია.

2.1 - სათანადო მონაცემების სიმცირის გამო, სააგენტომ პროგრამის სამრეწველო კომპონენტის მიმართულებით ვერ შეძლო შედეგის ინდიკატორის წარმოდგენა. რაც შეეხება მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების კომპონენტს, 2 წლის მანძილზე 6432 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რის შედეგადაც დასაქმებული ადამიანების წილი გაიზარდა. პროგრამის განხორციელების შედეგად მცირე და საშუალო საწარმოებში ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული ადამიანების მთლიანი რაოდენობა 2014 წლის მონაცემით 0.44%-დან 2016 წლისთვის 2.2%-მდე გაიზარდა.

მთლიანად, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მოიცავს 236 მხარდაჭერილ პროექტს, 556.5 მილიონი ლარის ჯამური ინვესტიციის მოცულობით, რის ფარგლებშიც შეიქმნა 10,705 სამუშაო ადგილი.[2]

[2] მოცემული მონაცემები ასახავს სახელმწიფო პროგრამაში ჩართული სამივე უწყების, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შედეგებს.

3.1 - მელიორაციის სააგენტოს მიერ პროგრამის განხორციელების 2 წლის მანძილზე 131.3 მილიონი ლარი დაიხარჯა საირიგაციო სისტემის მოდერნიზაციის ქვე-ღონისძიების ფარგლებში. სააგენტოს საირიგაციო სისტემების მშენებლობისა და არსებული სისტემების რეაბილიტაციის მიზნით 90 პროექტი განახორციელა. დამატებით გასარწყავდა 38,000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 12,000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აღიჭურვა სათანადო სადრენაჟო სისტემით. შედეგად გაიზარდა გასარწყავებული მთლიანი ტერიტორიის ფართობი 2014 წელს 32%-დან 40% 2016 წელს.

3.2 - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს არ წარმოუდგენია ინდიკატორები განხორციელებული აქტივობების შედეგების დასადგენად, მაგრამ როგორც არაპირდაპირი შედეგის ინდიკატორი, მათი შემოთავაზებაა ეროვნული ბანკის მონაცემების გამოყენება, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის სექტორის საკრედიტო პორტფელი 56.5 მილიონი ლარიდან 2013 წელს (პროექტის დაწყებიდან) 2016 წლის მონაცემებით 365.5 მილიონ ლარამდე გაიზარდა. თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ აღნიშნული პორტფელის ზრდა მხოლოდ პროგრამის განხორციელების შედეგად არის განპირობებული.

3.3 - ამ ღონისძიების განხორციელებაზე რამდენიმე უწყებამ 303 მილიონი ლარი დახარჯა. თუმცა მხოლოდ სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია გაზომვადი შედეგების შესახებ. პროგრამის განხორციელების ორი წლის მანძილზე 19,044 საწარმომ გაიარა სურსათის უვნებლობის მიმართ მონიტორინგი, ხოლო სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის ტესტები 7,464 საწარმომ გაიარა. ამ აქტივობების შედეგად საკვებ პროდუქტებში გამოვლენილმა დარღვევების რაოდენობამ 2014 წელს 31%-დან 2016 წელს 8.6%-მდე დაიკლო.

4.1 - 2015-2016 წლების განმავლობაში, ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ 48.2 მილიონი ლარი დახარჯა. შეიქმნა 2 საინფორმაციო ცენტრი, ჩატარდა 30 ტრენინგი რომელსაც 2470 ადამიანი დაესწრო, მომზადდა 5 რეგიონული კვლევა და მოეწყო 319 მარკეტინგული აქტივობა. ყველა ამ აქტივობის შედეგად ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა 2016 წლის ბოლოს 2014 წელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა, ასევე გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში.

5.1 - ღონისძიება 5.1 ეხება შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევას. კვლევა 2015 წელს ჩატარდა და დონორების რეკომენდაციით 3 წელში ერთხელ უნდა განახლდეს (2018 წელს). ამიტომ, შესაბამისი შედეგის ინდიკატორი ამ ღონისძიებისთვის არ განსაზღვრულა.

5.2 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 22.8 მილიონი ლარი დახარჯა 35 კოლეჯის რეაბილიტაციის, ტექნიკით აღჭურვისა და პერსონალით უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად, ახალი სტუდენტების რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა 9.9 ათასიდან 11.6 ათას სტუდენტამდე 2016 წელს.

5.3 - ეს ღონისძიება ხორციელდება გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დონორების დაფინასებით. ორგანიზაციას ამ ღონისძიებისთვის შედეგის ინდიკატორი ჯერ არ წარმოუდგენია.

5.4 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ ღონისძიების ფარგლებში 13.2 მილიონი ლარი დაიხარჯა. რადგან სამინისტრომ მხოლოდ გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია, შედეგი შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად: გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა 2015 წლის მონაცემით 519-დან 2754-მდე გაიზარდა 2016 წელს.

5.5 - ეს ღონისძიება ფინანსდება დონორების მიერ და ახორციელებს გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP). რგპ-ს განხორციელების 2 წლის მანძილზე 0.5 მილიონი ლარი დაიხარჯა ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების საჯარო მოხელეთა ტრენინგებზე. ამ ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობების გადამზადებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობაზე დაყრდნობით, დაანგარიშდა გადამზადებული ადგილობრივი მოხელეების წილი ადგილობრივ დონეზე გადამზადებულ მოხელეთა მთლიანი რაოდენობიდან, რაც გვიჩვენებს, რომ შედეგის ეს ინდიკატორი 2014 წელს 6.5%-დან 2016 წელს 32%-მდე გაიზარდა.

ცხრილი 2. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის შედეგის ინდიკატორები ღონისძიებების მიხედვით

		შედეგის ინდიკატორები							
პრიორიტეტი	ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება (2017)	2014 (საბაზისო)	2015	2016	2017 (დაგეგმილი)	გადამოწმების საშუალება/კომენტარი
1 - ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა	1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები	საშუალო მგზავრობის დრო თბილისიდან ბათუმამდე	საათი/ წუთი	5 საათი	5საათი და 45 წუთი	5 საათი და 30წუთი	5 საათი და 15წუთი	5 საათი	საქართველოს გზების დეპარტამენტი
	1.2 მყარი ნარჩენების მართვა	ნაგავსაყრელების წილი, რომელთაც შემცირებული უარყოფითი ზეგავლენა აქვთ გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე	%	94	23	75	89	94	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
	1.3 წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	მოსახლეობის წილი მთლიანად რეგიონის მოსახლეობაში (%), რომელთაც სასმელი წყალი 24 საათის განმავლობაში მიეწოდებათ, გარდა (თბილისი, მცხეთა, რუსთავი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა)	%	არ არის ხელმისაწვდომი	5,9	13,6	18,9	არ არის ხელმისაწვდომი	გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

	1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და გარემოს დაცვა	2 კმ ბუფერულ ზონებში ნაპირსამაგრი სამუშაოების შედეგად ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცული მოსახლეობის რაოდენობა ( )	რაოდენობა	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	159 000	356 000	არ არის ხელმისაწვდომი	საქართველოს გზების დეპარტამენტი
		დაცული ნაპირების სიგრძე	გრძივი მეტრი	23 748	4 770	16 184	20 141	23 748	საქართველოს გზების დეპარტამენტი
	1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	აღრიცხული ტყის ფართობი/ სულ საქართველოს ტყის ფონდი 2013= 100% (, ფართობი არ მოიცავს აჭარის ფონდს და დაცულ ტერიტორიებს)	%	17,46	10,25	12,77	15,62	17,46	ეროვნული სატყეო სააგენტო
2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა	2.1. ინსტიტუციური და პროგრამული აქტივობებით საქართველოს რეგიონებში ბიზნესის ხელშეწყობა	პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“, ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა მთლიანად ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაში	%	2,2	არ არის ხელმისაწვდომი	0.44	1,59	2,2	მეწარმეობის განვითარების სააგენტო
3.* სოფლის მეურნეობის განვითარება	3.1 საირიგაციო სისტემის განახლება	გასარწყავებული მიწის ფართობის წილი მთლიან არიდულ მიწებში	%	45	32	36	40	45	მელიორაციის სააგენტო

		წყალდიდობებისგან დაცული ტერიტორიის წილი მთლიანი ჭარბტენიანი ტერიტორიებში	%	33	24	25	30	33	მელიორაციის სააგენტო
	3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა	პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა/სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა	%	არ არის ხელმისა წვდომი	არ არის ხელმისა წვდომი	არ არის ხელმისა წვდომი	არ არის ხელმისა წვდომი	არ არის ხელმისა წვდომი	
	3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები (ახალი ჯიშების ტესტირება და გავრცელება, კოოპერატივების განვითარება; სურსათის უვნებლობისა და ღვინის მრეწველობის განვითარება)	სურსათის უვნებლობის ნორმების დარღვევის გამოვლენილი შემთხვევების წილი მთლიან შემოწმებულ დოკუმენტებში/შემთხვევებში	%	არ არის ხელმისა წვდომი	31	14,9	8,6	არ არის ხელმისა წვდომი	სურსათის უვნებლობის სამსახური
		აღმოჩენილი დაავადებების (ცოფი და ჯილეხი) რაოდენობა 100,000 ცხოველში	რაოდენობა	არ არის ხელმისა წვდომი	8	8,4	4,2	არ არის ხელმისა წვდომი	სურსათის უვნებლობის სამსახური
4. 4.1. ტურიზმის განვითარება	4.1. ტურიზმის განვითარება	ტურიზმის წილი მშპ-თან მიმართებაში	%	არ არის ხელმისა წვდომი	6.32	6.71	7.33 (I-III კვ)	არ არის ხელმისა წვდომი	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

		ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები	მილიონი აშშ დოლარი	არ არის ხელმისაწვდომი	1,14	1,18	1.17 (Q3)	არ არის ხელმისაწვდომი	საქართველოს ეროვნული ბანკი
		ცვლილება ტურიზმიდან მიღებულ ფულად შემოსავლებში (2014=100%)	%	არ არის ხელმისაწვდომი	100	103,5	102.6 (Q3)	არ არის ხელმისაწვდომი	საქართველოს ეროვნული ბანკი
		საერთაშორისო ვიზიტორების ზრდა	%	არ არის ხელმისაწვდომი	2	7	8	არ არის ხელმისაწვდომი	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
**5.ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება და პროფესიული განათლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება სუბ-ნაციონალურ დონეზე.	5.2 არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების მშენებლობა აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა	საქართველოს მთელს ტერიტორიაზე პროფესიული სასწავლებლების ახალი სტუდენტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის ხელმისაწვდომი	9 910	10 273	11651	არ არის ხელმისაწვდომი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
	5.3 პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები	პროექტის მხარდაჭერით პროფესიული განათლების სასწავლებლებში მიღებული სტუდენტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	UNDP მხარს დაუჭერს პროფესიულ სწავლებასა და განათლებას, სტუდენტების რაოდენობა შესაბამისი ინდიკატორი

									შეიძლება იყოს, თუ UNDP მიერ სხვა ინდიკატორი არ იქნება შეთავაზებული
	5.4 პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება“	გადამზადებული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა ()	რაოდენობა	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	519	235 2	არ არის ხელმისაწვდომი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
	5.5 რეგიონებში ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ტრენინგები	გადამზადებული ადგილობრივი საჯარო მოხელეების წილი გადამზადებული ადგილობრივი საჯარო მოხელეების მთლიან რაოდენობაში(5) .	%	არ არის ხელმისაწვდომი	6,5	25,8	32	არ არის ხელმისაწვდომი	UNDP/სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტეროტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი

* სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ღონისძიება 3.2 ახორციელებს ვერ შეძლო შედეგის ინდიკატორის მოწოდება, რადგან ყველა ის ინფორმაცია, რომელიც დაკრედიტების პროცესს და მის შედეგებს ეხება ხელმისაწვდომია კომერციულ ბანკებში და სააგენტოს არ გააჩნია.

**ღონისძიება 5.1 - ეხება შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევას, რომელიც 2015 წელს ჩატარდა და დონორების რჩევით კვლევის განახლება ყოველ 3 წელშია რეკომენდირებული. ამიტომ, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ვერ მოხერხდა შედეგების გაზომვა და შესაბამისად ცხრილშიც ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

ნაწილი 2. რგპ-ით განსაზღვრული რეგიონული კოჰეზიის მიზნების მიღწევის პროგრესი. რეგიონებისთვის ფინანსების განაწილება.

2015-2017 წლის რეგიონული განვითარების პროგრამა განსაზღვრავს მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ და ტერიტორიულ ფაქტორებს, რომლებიც საქართველოს არათანაბარ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას უწყობენ ხელს. ანალიზის შედეგად განსაკუთრებით მკვეთრი დისბალანსი ე.წ. „დიდ“ თბილისსა და დანარჩენ საქართველოს შორის გამოიკვეთა. რეგიონული განვითარების სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებია მოქალაქეებისა და კომპანიების ტერიტორიულად არათანაბარი წვდომა ისეთ საზოგადოებრივ სიკეთეებზე, როგორიცაა ძირითადი ინფრასტრუქტურა (გზები, წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემა, ინტერნეტი), ასევე ისეთი მომსახურებები, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სოციალური მომსახურებები. ყოველივე ეს თბილისის და ზოგიერთი სწრაფად მზარდი ურბანული ცენტრის, მაგალითად ბათუმის, მიღმა ინვესტირების და დასაქმების დონის გაზრდის შესაძლებლობებს აბრკოლებს. ასევე გარკვეული გამოწვევების წინაშე არიან ქვეყნის ჩრდილოეთით მეჩხერად დასახლებული მაღალმთიანი რეგიონები და ზოგიერთი ყოფილი მონო-ინდუსტრიული ქალაქები.

რუკა 1. საქართველოს რეგიონები



1. აფხაზეთის ა.რ. 2. სამეგრელო-ზემო სვანეთი 3. გურია 4. აჭარის ა.რ. 5. სამცხე-ჯავახეთი 6. იმერეთი 7. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 8. შიდა ქართლი 9. ქვემო ქართლი 10. მცხეთა-მთიანეთი 11. კახეთი 12. თბილისი

რეგიონული განვითარების პროგრამის ძირითადი მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს მასშტაბით უფრო დაბალანსებულ და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. იგი ორ სტრატეგიულ მიზანს მოიცავს:

ა) ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იმ რეგიონებში, სადაც დასაქმების დონის დაბალი მაჩვენებელია;

ბ) ცხოვრების დონის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლებსა და ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებზე;

ამ ორი სტრატეგიული მიზნის მიღწევა 5 პრიორიტეტისა და შესაბამისი ზომების გატარებით ხორციელდება.

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ამ ეტაპზე მონიტორინგის სისტემიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების და ოფიციალური სტატისტიკის[3] სიმწირის გამო რთულია რეგიონულ კოჰეზიასა და ზემოთ განსაზღვრულ პრობლემებზე პროგრამის განხორციელების გავლენის შეფასება. ამისთვის უფრო დეტალური და ყოვლისმომცველი ანალიზია საჭირო, ხოლო პროგრამის დასრულების შემდგომ კი (2017 წლის ბოლოს) შეფასების მომზადება.

2015 წლის მეორე ნახევრიდან ევროკავშირის შეფასების მისიის დაკვირვებებსა და რეგიონულ პოლიტიკაზე უკვე არსებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით (იხ. 2015 წლის მონიტორინგის წლიური ანგარიში), საქართველოს მთავრობა რგპ-ს ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ როგორც ფინანსური, ისე ფიზიკურ მონაცემებს აგროვებს. საერთო ჯამში დახარჯული თანხის 66.2% -ის (795.1 მლნ. ლარი) რეგიონული ჩაშლა გახდა შესაძლებელი. ამ გაანგარიშებაში არ შედის აჭარის ა.რ და თბილისი - ამ რეგიონებს შემოსავლის საკუთარი წყარო გააჩნიათ და განმახორციელებელი უწყებები ამ რეგიონებში რგპ-ის განხორციელების მხოლოდ გარკვეული ღონისძიებების შესახებ იძლევიან ინფორმაციას.

რეგიონებში ფინანსების განაწილების მაჩვენებელი თითქმის იგივეა, რაც წინა წელს - 69.2% (726,9 მლნ ლარი). სამწუხაროდ რეგიონული მონაცემების შეგროვების შესაძლებლობა ძირითადად პრიორიტეტი 1-ით (ინფრასტრუქტურა) და რეგიონული განვითარების ფონდით შემოიფარგლა. ფინანსური და ფიზიკური პროგრესის რეგიონული ჩაშლა პრიორიტეტი 3 (სოფლის მეურნეობა და სასოფლო ტერიტორიები) და პრიორიტეტი 5-ის - ადამიანური რესურსების განვითარების ფარგლებში არსებული უმეტესი ღონისძიებების შემთხვევაში შეუძლებელი გახდა.

გრაფიკი 6. დანახარჯები რეგიონების, პრიორიტეტებისა და რეგიონული განვითარების ფონდის მიხედვით (თბილისის და აჭარის გამოკლებით), 2016 წელი, მილიონი ლარი:

[3] რეგიონაული სტატისტიკის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „მოხსენება რეგიონალური სტატისტიკის მიმოხილვის შესახებ“, საქართველოში რეგიონალური განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა II, 2016 წლის დეკემბერი.



სამინისტროებისა და განმახორციელებელი უწყებების მიერ მთელი ფინანსების ტერიტორიული გადანაწილება წინა წელთან შედარებით გაცილებით უფრო დაბალანსებულია (გრაფიკი 6). 2016 წელს ფინანსების უდიდესი წილი (გრაფიკი 6), 22.1 % იმერეთის რეგიონზე მოდის - თუმცა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით (34%) მნიშვნელოვნად შემცირდა. რეგიონალურ დანახარჯებში ამ რეგიონის დომინირება იმით აიხსნება, რომ იმერეთი საქართველოში თბილისის შემდეგ ყველაზე მეტად დასახლებული ტერიტორიაა და ბოლო ორი წლის მანძილზე მის ფარგლებში ხორციელდება თბილისი-ქუთაისის და ბათუმის დამაკავშირებელი საერთაშორისო მაგისტრალის მშენებლობა. მას მოჰყვება სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის და გურიის რეგიონები, რომლებზეც 16.4%, 14.3% და 12.4% დაიხარჯა. პირველი ორი რეგიონის წილი წინა წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა, რასაც ვერ ვიტყვით გურიაზე, რომელმაც ამ წელს პროცენტულად ორჯერ მეტი ფინანსები მიიღო. ამჯერადაც, როგორც იმერეთის შემთხვევაში, გურიის და შიდა ქართლის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი თბილისსა და ბათუმს შორის მაგისტრალის შემდგომი მშენებლობით შეიძლება აიხსნას (მთლიანობაში 2016 წელს 34 კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობა განხორციელდა).

გრაფიკი 7. 2015 და 2016 წლებში საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში ფინანსური დანახარჯების წილი.



რეგიონული განვითარების ფონდი მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილ და რეგიონულ საკონსულტაციო საბჭოსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შესაბამისი რეგიონული განვითარების სტრატეგიის ამოცანებთან თანხვედრაში მყოფ მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურულ პროექტებს აფინანსებს. რგპ-ს 2016 წლის დანახარჯების რეგიონული განაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ თანხების გამოყოფის მექანიზმი მთელი ფინანსების განაწილების მექანიზმის მსგავსია (გრაფიკი 7). 2016 წელს რგპ-ს სახსრების უდიდესი წილი იმერეთზე (23.3%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (15.7%) და ქვემო ქართლზე (12.1%) მოდის. (თბილისსა და აჭარის გარდა) უფრო მეტად განვითარებული რეგიონები საჯარო ინვესტირების უდიდეს წილს იზიდავენ.

გრაფიკი 8. რგპფ-ს რეგიონული განაწილება ცალკეული რეგიონების მიხედვით, 2016 წელი



რგპ-ს ფარგლებში რეგიონებისთვის გამოყოფილი მთლიანი სახსრებიდან 2016 წელს, ისევე როგორც წინა წელს, ყველაზე დაბალი წილი რაჭა-ლეჩხუმმა და ქვემო სვანეთმა მიიღო - მხოლოდ 3.3% (2.4% კი 2017 წელს). ამ რეგიონზე რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი ფინანსების ყველაზე დაბალი პროცენტიც მოდის - რაც მხოლოდ 5.1% შეადგენს (ხოლო 2015 წელს -4.5%).

მთლიანობაში 2015-2016 წლებში სახსრების უდიდესი წილი იმერეთის, სამეგრელო -ზემო სვანეთის და შიდა ქართლის რეგიონებზე მოდის (გრაფიკი 9), რაც ამ რეგიონებში თბილისი -ქუთაისი -ბათუმის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობითა და საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი როლით (იმერეთში მდებარეობს ქუთაისი - რიგით მეორე ქალაქი საქართველოში, სადაც განთავსებულია პარლამენტი) და ამავდროულად, რგპ-ს გამოთანაბრების სუსტი ეფექტით შეიძლება აიხსნას.

გრაფიკი 9. რგპ-ს ფინანსების რეგიონული განაწილება 2015 და 2016 წლებში.



ერთ სულ მოსახლეზე (საკუთარი შეფასებებით) რეგიონული დანახარჯების ორი წლის (2015-2016 წწ) ანალიზი (გრაფიკი 10) და მისი ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელთან შედარება (ცხრილი 3) აჩვენებს, რომ ყველაზე პატარა და ღარიბი რეგიონების მიმართ ძლიერი ფინანსური უპირატესობა არსებობს: 2014 წლის მონაცემებით, რაჭა-ლეჩხუმსა და ზემო სვანეთში 31.9 ათასი მოსახლე ცხოვრობდა და ბოლო ორი წლის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე გადარიცხულმა თანხამ 1370 ლარი შეადგინა, რაც ორჯერ მეტია საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე (646 ლარი) (თბილისის და აჭარის გამოკლებით).

სხვა რეგიონები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე გახარჯული თანხის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, არის გურია (დაახლოებით 1196 ლარი ერთ სულ მოსახლეზე) და მცხეთა-მთიანეთი (1118 ლარი). მცხეთა-მთიანეთი ყველაზე ღარიბ რეგიონებს შორისაა, თუმცა სამცხე-ჯავახეთი (იხ. ცხრილ 3), რომელიც ასევე ძალიან ღარიბი რეგიონია, რეგიონებისთვის გამოყოფილი თანხებიდან ძალიან მცირე წილს იღებს. ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილი თანხის ყველაზე მცირე წილი კახეთზე (341 ლარი ერთ სულ მოსახლეზე რაც საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე თითქმის ორჯერ ნაკლებია) და სამცხე - ჯავახეთზე (498 ლარი) მოდის.

გრაფიკი 10. 2015-2016 წლებში საერთო და რგპ-ს დანახარჯები ლარში ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით.



სახსრების რეგიონული განაწილებისა და რეგიონული მშპ-სთან მათი შეფარდების ანალიზი (და ასევე რგპ-ს რეგიონულ კოჰეზიაზე გავლენის გაზომვა) დიდი სიფრთხილით უნდა გაკეთდეს. ფაქტები აჩვენებს, რომ ზოგიერთი რეგიონი დანარჩენებთან შედარებით უფრო პრიორიტეტულია, თუმცა პასუხი კითხვაზე თუ რატომ ხდება ეს, სახსრების რეგიონებისთვის გამოყოფის მეთოდების უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებს, როგორც ინდივიდუალური, ასევე სექტორული მექანიზმის ჭრილში. როგორც უკვე აღინიშნა, რგპ-ს სახსრების რეგიონული განაწილების შესახებ ინფორმაცია ასევე არასრულია და ძირითადად ინფორმაციაზე წვდომა რგპ-ს და ინფრასტრუქტურული დანახარჯებით შემოიფარგლება. დამატებითი ანალიზები და რგპ-ს დასრულების შემდგომი შეფასება, ისევე როგორც მომდევნო წლებში სამინისტროების მხრიდან სექტორული დანახარჯების რეგიონულ დონეზე მონიტორინგის განხორციელების თვალსაზრისით უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენა, უფრო თვალსაჩინოს გახდის ფინანსების რეგიონულ გადანაწილებას და მის გავლენას საქართველოში რეგიონულ გამოთანაბრებაზე.

ცხრილი 3. 2014 წელს მოსახლეობის რაოდენობა და მშპ ერთ სულ მოსახლეზე (საკუთარი შეფასებები)

	მოსახლეობა	**მშპ ერთ სულ მოსახლეზე ლარში**
გურია	113221	5162
იმერეთი	536052	4728
კახეთი	319144	4572

მცხეთა-მთიანეთი	94370	4137
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	31927	4728
სამეგრელო -ზემო სვანეთი	331145	5458
სამცხე ჯავახეთი	160262	4521
ქვემო ქართლი	424769	5092
შიდა ქართლი	264633	4137
ყველა რეგიონი აჭარისა და თბილისის გარდა	2275523	4794
აჭარა	336077	6069
თბილისი	1118035	10865
სულ	3729635	6729

ნაწილი 3. დასახული მიზნების მიღწევის პროგრესზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი; საანგარიშო პერიოდში ღონისძიებების დონეზე დასახული ფინანსური და ფიზიკური სამიზნეები.

2016 წელს რგპ-ს განხორციელებაზე გავლენის მქონე მთავარი ფაქტორების ანალიზის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზოგადი მაკრო-ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, ადმინისტრაციული შესაძლებლობები, კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატასტროფები.

მაკრო-ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა

2016 წელს საქართველოში მშპ-ს ზრდის კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა: თუ იგი 2014 წელს 4.6%-ს შეადგენდა, 2015 წელს 2.9%-მდე შემცირდა, ხოლო 2016 წელს 2.7%-მდე (იხ. გრაფიკი 1). 2016 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში ზრდის სექტორულ ჩაშლაზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წლის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა სამშენებლო და სამრეწველო სექტორის ზრდის შენელებას, რაზეც გავლენა იქონია 2016 წლის ამ პერიოდში ინფრასტრუქტურის კუთხით სახელმწიფო ინვესტირების შემცირებამ. ტურიზმთან დაკავშირებულმა დარგებმა და ფინანსურმა შუამავლებმა სტაბილურობა შეინარჩუნა და წლის განმავლობაში ზრდის მაჩვენებელმა 10%-ზე მეტი შეადგინა. ამავდროულად სხვა დარგებში შედარებით მოკრძალებული ზრდა აღინიშნა. რეგიონებს შორის ასიმეტრია კვლავ შეუცვლელია რჩება (იხ. გრაფიკი 2), გამომდინარე იქიდან, რომ მთელი ქვეყნის მშპ[4]-ის 48% კვლავ თბილისზე მოდის.

<u>გრაფიკი 1</u>: საქართველოში მშპ-ს ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[5].

<u>გრაფიკი 2:</u> მთლიანი დამატებითი ღირებულების განაწილება რეგიონების მიხედვით (მიმდინარე ფასები მლრ. ლარში)



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[6].

---

[4] TB - თბილისი; AJ: აჭარა; KK: ქვემო ქართლი; IM-RS - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი; SZ: სამეგრელო-ზემო სვანეთი; GU: გურია; SK-MM: შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი; SJ: სამცხე-ჯავახეთი; KA: კახეთი

[5] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng

[6] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=1220&lang=eng

2015 წელთან შედარებით 2016 წელს ფისკალური დეფიციტის მაჩვენებელი გაიზარდა და ამასთანავე 2016 წლის საბიუჯეტო კანონით დადგენილ სამიზნე მაჩვენებელს გადააჭარბა: საბიუჯეტო პროექტების მიხედვით, 2016 წელს ფისკალური დეფიციტი 2015 წლის მშპ-ს 3.8%-დან 3%-მდე უნდა შემცირებულიყო. თუმცა საბიუჯეტო თანხების ჭარბ ხარჯვას შედეგად მოჰყვა მიმდინარე დანახარჯების 3.4%-ით, ხოლო საჯარო ინვესტირების 6.5%-ით გადაჭარბება. ამ გარღვევის ძირითადი გამომწვევი მიზეზები სახელფასო ხარჯები, საქონლისა და მომსახურების და ასევე სოციალური შეღავათებია. ამავდროულად გადასახადების შეგროვების კუთხით გეგმის გადაჭარბება 0.7%-ით მოხდა. საბოლოოდ 2016 წლის დასასრულს ფისკალური დეფიციტი 4.2%-მდე გაიზარდა.

უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია ფისკალური მდგომარეობის გამოსწორება, რაც 2017 წლის იანვრიდან აქციზზე გადასახადის გაზრდით იქნება გამოწვეული. მოგების გადასახადის რეფორმის (ესტონური მოდელი) მოსალოდნელ უარყოფით ფისკალურ გავლენას შემოსულობების შეგროვებასა და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ მდგრადობის შესახებ შეშფოთებას, ნაწილობრივ არბილებს ის შემოსავლები, რომელიც თამბაქოზე, საწვავსა და მანქანებზე აქციზის გადასახადის მკვეთრი ზრდით იქნება მიღებული. თუმცა დანახარჯების თვალსაზრისითაც ასევე ძლიერი კონსოლიდირებული ძალისხმევაა საჭირო, რათა მდგრადობის შენარჩუნება მოხდეს როგორც საშუალო, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

საქსტატის თანახმად, 2016 წელს საშუალო წლიურმა სამომხმარებლო ფასის ინდექსმა 2.1. შეადგინა (1.8% 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის დეკემბრამდე), ხოლო სამრეწველო პროდუქციაზე წლიურმა საშუალო მაჩვენებელმა 0.1%-ს მიაღწია (7.5% 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის დეკემბრამდე). ამავდროულად დაფიქსირდა ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება ევროსა და აშშ დოლართან მიმართებაში - 6.9%-ით და 10%-ით[7].

საქონლის სავაჭრო დეფიციტის მაჩვენებელი 2016 წელს გაუმჯობესდა. ეს საპირისპირო ტენდენცია იმპორტის 1 პროცენტით შემცირებამ გამოიწვია (აქ არ შედის გრანტებით დაფინანსებული „C" ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების იმპორტი, რამაც 2016 წლის მთლიანი იმპორტის 27% შეადგინა), თუმცა მცირედით შემცირდა ექსპორტის მაჩვენებელიც (4%). 2016 წელს სავაჭრო ბალანსზე დადებითი გავლენა იქონია სპილენძის მადნის, ალკოჰოლისა და გადაუმუშავებელი ოქროს ექსპორტის ზრდამ, თუმცა ამავდროულად შემცირდა მეორადი მანქანების, ფეროშენადნობი, ფარმაცევტული და მინერალური სასუქის ექსპორტი. მთლიან ექსპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი 8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2016 წელს 27% შეადგინა. 2016 წელს ტურისტების რიცხვი 7.6%-ით გაიზარდა, საკმაოდ ხანგრძლივი ვარდნის პერიოდის შემდეგ ფულადი გზავნილები 7%-ით გაიზარდა 2016 წლის ივნისიდან დაფიქსირებული ზრდის შედეგად. საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან ევროკავშირის და ცენტრალური აზიის ქვეყნები. საქართველოს ექსპორტის ზრდის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება „მეტნაკლებად იგივე" რჩება, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მაშინ როცა ექსპორტი იზრდება და ექსპორტიორი ფირმები შედარებით დიდი რჩება, საექსპორტო აქტივობები კვლავ კონცენტრირებულია ერთსა და იმავე პროდუქტებსა და იმავე სავაჭრო პარტნიორებზე, რაც ბოლო ათწლეულების მანძილზე იყო.

[7] საქართველოს ეროვნული ბანკი

2016 წელს **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI)** ძლიერი ნაკადი შენარჩუნდა, მაგრამ იგი ძირითადად მიმართული იყო ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ფინანსური, ენერგო და ინფრასტრუქტურული სექტორებისკენ. ეს სექტორები ბოლო 10 წლის მანძილზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მიმღებები იყვნენ. საქსტატის ბოლო შეფასებების მიხედვით, 2016 წლის პირველ სამ კვარტალში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 1.298 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, და წლიდან წლამდე 4.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა. წილობრივად მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი ძირითადი ქვეყნები იყვნენ აზერბაიჯანი (33.4%), თურქეთი (15.2%), გაერთიანებული სამეფო (6.2%), ლუქსემბურგი (5.2%), ჩეხეთის რესპუბლიკა (5.1%) და ნიდერლანდები (4.8%). 2011 წლის შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის თითქმის სამი მეოთხედი თბილისზე მოდის (გრაფიკი 3).

<u>გრაფიკი 3:</u> პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საქართველოში რეგიონების მიხედვით 1000 აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[8].

<u>გრაფიკი 4.</u> დასაქმების, თვითდასაქმების და უმუშევრობის დონე შერჩეულ რეგიონებში (2015 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[9].

მშპ-ს ზრდის შედარებით დაბალი ტემპების მიუხედავად, უმუშევრობის მაჩვენებელი 2015 წლის ბოლოსთვის 12% დარჩა. მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებულების 60%-ს თვითდასაქმებულები შეადგენენ (იხ. გრაფიკი 4). რეგიონებში, მათ შორის კარგად დასახლებულ ტერიტორიებზეც, უმუშევრობა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს და რეგიონული უთანასწორობის მუდმივ პრობლემას ქმნის. რეგიონებში ოფიციალურად დასაქმების დონე დაბალია, მაშინ როცა თბილისში ოფიციალურად დასაქმებულთა რიცხვი ყველაზე მაღალია და იგი სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის 65%-ს შეადგენს. ყველა დანარჩენ რეგიონში ეს მაჩვენებელი 35%-ზე დაბალია. თვითდასაქმებულების ციფრებმა შეიძლება სამუშაო შესაძლებლობების რეალური სურათის დამახინჯება გამოიწვიოს. ბევრი ადამიანი შეიძლება იმიტომ იყოს თვითდასაქმებული, რომ სხვა გამოსავალი არ აქვს და ოფიციალურ სამსახურს ვერ პოულობს. თბილისში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია და შრომისუნარიანი მოსახლეობის 21.4%-ს შეადგენს. საქართველოში რეგიონებს შორის უმუშევრობის მაჩვენებლების დისბალანსი უფრო დიდი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპისა და ევროკავშირის შესადარებელ ქვეყნებში. რეგიონების მასშტაბით დასაქმების დისბალანსი „საქართველო 2020“ სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს

[8] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=2222&lang=eng
[9] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=1187&lang=eng

და კიდევ ერთხელ ადასტურებს ისეთი უნარების განვითარების საჭიროებას, რომელიც შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი იქნება და ხელს შეუწყობს ზრდას.

ადმინისტრაციული შესაძლებლობები

საერთო ჯამში ფინანსური და ფიზიკური სამიზნეების თვალსაზრისით 2016 წელს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება შეიძლება დადებითად შეფასდეს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც შესრულებაზე იქონია გავლენა, არის რგპ-ის განხორციელების მონიტორინგის და პროგრამის შესრულების მეორე წელს წამოჭრილ გამოწვევების თავის გართმევის უნარი უწყებების შესაძლებლობების ზრდის მეშვეობით.

2016 წელს პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მუშაობა გაუმჯობესდა, რასაც ასევე ხელი შეუწყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და პროცესში ჩართული სხვა ინსტიტუტებისა და სააგენტოების კადრების გაზრდილმა შესაძლებლობებმა. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უნარი, კოორდინაცია გაუწიოს მთელ პროცესს. თუმცა მნიშვნელოვანია რეგიონული პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებების შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერება. რეკომენდირებულია რგპ-ის განხორციელებაში ჩართული ყველა უწყების ტრენინგის საჭიროების შეფასების მომზადება და მასზე დაყრდნობით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განმახორციელებელი უწყებებისათვის და სააგენტოებისთვის შემუშავდეს და ჩატარდეს სპეციალური უნარების განსავითარებელი პროგრამა და სხვა ტრენინგ მოდულები. გარდა ამისა, შესაძლებელია განხორციელების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა პროგრამირება, მონიტორინგი და შეფასება, სტანდარტიზებული სახელმძღვანელოების მომზადება, ასევე კოორდინაციის პროცესში განმახორციელებელი სააგენტოების უფრო მეტი ჩართულობა.

კლიმატური და ამინდის პირობები. ბუნებრივი კატასტროფები

2016 წელს 2015-2016 წლებში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციისთვის ცენტრალური ბიუჯეტის დანახარჯებმა 2016 წლის პირველ 3 კვარტალში 15.9 მილიონი ლარი შეადგინა (აჭარის ა.რ. გარდა). ამ თანხიდან 4.1 მილიონი 2015 წელს თბილისში მომხდარი წყალდიდობით გამოწვეული ზიანის ლიკვიდაციას მოხმარდა, ხოლო დანარჩენი თანხა სხვა ბუნებრივი კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციაზე გადანაწილდა, მათ შორის იყო გურიის რეგიონში ძლიერი წვიმის შედეგებიც.

კლიმატური და ამინდის პირობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროგრესზე. კლიმატური პირობების და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (განსაკუთრებით კი მთიან რეგიონებში) სამუშაოების განხორციელება წლის მხოლოდ რამოდენიმე თვის განმავლობაშია შესაძლებელი.

სხვა ფაქტორები

2016 წელს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც რგპ-ს განხორციელებაზე ზეგავლენა მოახდინა 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო. არჩევნების შედეგად

ხელისუფლებაში უფრო დიდი საპარლამენტო უმრავლესობით იგივე მმართველი ძალა მოვიდა. არჩევნების შემდეგ იგივე პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ახალი მთავრობა დაკომპლექტდა, თუმცა მთავრობის წევრების შემადგენლობასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. ცვლილება შეეხო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსაც, თუმცა აღნიშნულს რგპ-ს განხორციელების პროცესის შეფერხება არ გამოუწვევია. იგივეს ვერ ვიტყვით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდზე, რადგან საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის მესამე თავის, 49 მუხლის თანახმად, არჩევნების პერიოდში ახალი პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები არსებობს, რასაც შესაძლოა გარკვეული გავლენა ექონია ფონდის დანახარჯებზე.

სხვა ფაქტორებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენს პროგრამის კონკრეტული პრიორიტეტებისა და ღონისძიებების განხორციელებაზე, ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

- მელიორაცია: შრომატევადი სატენდერო პროცედურები და (მელიორაციის შემთხვევაში) კონტრაქტების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება: პროგრამის ფარგლებში შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების დაფინანსებისთვის მუნიციპალიტეტებში ფინანსური რესურსების ნაკლებობა და რეგიონებში არსებული ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა, რაც კოოპერატივების საქმიანობაზე ახდენს ზეგავლენას.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტის დონეზე დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები: კლიმატური პირობები და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების პროგრესზე (სამუშაოების განხორციელება წლის მხოლოდ რამოდენიმე თვის განმავლობაშია შესაძლებელი).
- სურსათის უვნებლობა: ბიზნეს ოპერატორების შემოწმებისთვის კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა და ასევე ამ ტიპის კომპანიებზე საჯარო რეესტრში საიმედო მონაცემების სიმწირე.
- არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი კოლეჯების მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალით დაკომპლექტება, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარება: ზოგ შემთხვევაში შენობების დაგეგმილი რეკონსტრუქცია დამატებით სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს, რაც მიზნად ისახავს შენობების გამაგრება-რეაბილიტაციას. ამან კი შეიძლება პროექტის ვადების გაზრდა გამოიწვიოს.

ნაწილი 4. 2015-2017 წწ-ის რგპ-ს მართვასთან, განხორციელებასა და პროგრამირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

რგპ-ს 2015 წლის წლიური მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების შეფასება

2015 წელს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების წლიური მონიტორინგის მოხსენებაში რამდენიმე რეკომენდაცია იყო მოცემული, რომელიც ორ ჯგუფად იყოფოდა: რეკომენდაციები რგპ-ს მართვის, პროგრამირების, მონიტორინგისა და განხორციელების შესახებ და რეკომენდაციები რეგიონული პოლიტიკის შესახებ. მათი უმრავლესობა კვლავ აქტუალური რჩება და შემდგომი წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს. რეკომენდაციების შესრულების დონე ქვემოთ მოცემულ ცხრილშია აღწერილი.

2015 წლის წლიურ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულება			
რეკომენდაციები რეგიონული განვითარების პროგრამის მართვის, პროგრამირების, მონიტორინგისა და განხორციელების შესახებ			
No.	**რეკომენდაცია**	**შესრულების შეფასება**	**შენიშვნები**
1.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება პროგრამირების, განხორციელებისა და მონიტორინგის კუთხით, ევროკავშირის სტანდარტებთან შემდგომი დაახლოებით.	რგპ-ს განმახორციელებელი ინსტიტუტების შესაძლებლობების ზრდა თვალსაჩინოა, თუმცა ანგარიშგებისა და ინფორმაციის წარმოდგენის კუთხით, ჯერ კიდევ არსებობს გაუმჯობესების საჭიროება, განსაკუთრებით იმ უწყებების შემთხვევაში, რომელიც არ შედის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.	უნდა გაგრძელდეს რგპ-ს განხორციელებაში ჩართული უწყებების ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება. მონიტორინგის, შეფასებისა და პროგრამირების საკითხებთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები.
2.	განგრძობითი სამუშაოები 2015-2017 წლების რგპ-ს მონიტორინგის პროცესის საიმედოობისა და სიზუსტის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, რაც გულისხმობს:		
	ა) რგპ-ს მონიტორინგის გეგმის მე-6 დანართის განახლება.	აღნიშნული დანართის განახლება 2016 წლის აპრილსა და 2016 წლის ბოლოს მოხდა. ეს რეგიონული განვითარების	საჭიროების შემთხვევაში დანართის განახლება 2017 წელსაც უნდა მოხდეს.

		სამთავრობო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმშიცაა ასახული.	
	ბ) 2017 წლისთვის ყველა ფიზიკური სამიზნის (შედეგის ინდიკატორის) განსაზღვრა.	განმახორციელებელი უწყებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სადაც შესაძლებელი და საჭირო იყო, განისაზღვრა და განახლდა სამიზნეების უმეტესი ნაწილი; თუმცა ინდიკატორებთან მიმართებაში შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების გატარება.	2016 წლის წლიურ ანგარიშში, მოცემული ინდიკატორების ჩამონათვალის მიხედვით, ღონისძიებების დეტალური ცხრილის განახლება.
	გ) მეტი ყურადღების დათმობა მოსალოდნელ, უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური შედეგების განსაზღვრაზე.	2016 წლის წლიურ ანგარიშში მომზადდა და შედეგების ინდიკატორების ჩამონათვალი.	შედეგების ინდიკატორების ჩამონათვალი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სხვა რგპ-ს განმახორციელებელ უწყებებთან თანამშრომლობით შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს.
	დ) სადაც რელევანტურია, კონკრეტული რეგიონების ჭრილში მოხდეს უფრო დეტალური ანგარიშგება პროგრამის განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესის შესახებ.	სადაც რელევანტური და შესაძლებელია, 2016 წლის წლიურ ანგარიშში მოხდეს შედეგებისა და შედეგების ინდიკატორების რეგიონულ დონეზე ჩაშლა.	საჭიროა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქსტატისა და განმახორციელებელი უწყებების თანამშრომლობის შედეგად, რეგიონულ დონეზე ფიზიკური და ფინანსური პროგრესის შესახებ მონაცემების შეგროვების შემდგომი გაუმჯობესება.
3.	სამინისტროებს, უწყებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის უკეთესი კოორდინაცია რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის /პროგრამირების,	მიმდინარე პროცესი	უნდა გაგრძელდეს 2017 წელს.

	მონიტორინგისა და განხორციელების თვალსაზრისით.		
	ა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაძლებლობების ზრდა, რაც მოიცავს შესაბამისი კადრებით გაძლიერებას, დამატებით სასწავლო ტრენინგებს, უფრო მეტ უფლებამოსილებას დაგეგმვის/პროგრამირების, მონიტორინგისა და განხორციელების სტანდარტების შემუშავებაში. აგრეთვე, სექტორულ ჭრილში მეტი ტერიტორიული/რეგიონული განზომილების შემოტანა	2016 წლის ბოლოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის შემდეგ მისი ფუნქციებისა და შესაბამისი სტრუქტურული უწყების - ევროინტეგრაციისა და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტის (ყოფილი ევროინტეგრაციის, რეფორმებისა და ინოვაციების დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება და გაძლიერება მოხდა. დეპარტამენტის დაქვემდებარებაში რეფორმებისა და სტრატეგიული პროგრამირების სამმართველოს არა მხოლოდ ფუნქციურად მოდიფიცირება და გაძლიერება მოხდა, არამედ დამატებით გამოიყო ადამიანური რესურსები, რათა გაზრდილიყო დეპარტამენტის შესაძლებლობა ზედმიწევნით მოახდინოს შესაბამისი სტრატეგიული და პროგრამული დავალებების დაგეგმვა, მონიტორინგი და განხორციელება. კადრების რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ საქვეუწყებოებსაც შეეხო.	შესაბამისი კადრების დამატებითი ტრენინგი კონკრეტულ საკითხებში 2017 წელსაც უნდა გაგრძელდეს.
	ბ. რეგიონული განვითარების პროგრამის პრიორიტეტებისა და	მიმდინარე პროცესი. კონკრეტული რეგიონის	

	ინსტრუმენტების რეგიონული განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებთან სწორების შემდგომი ძალისხმევა პრაქტიკულობისა და შესაძლებლობების ფარგლებში.	განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებები პრაქტიკულობისა და შესაძლებლობების ფარგლებში რგპ-ს პრიორიტეტებსა და ინსტრუმენტებთან თანხვედრაშია. ეს რეგიონული საკონსულტაციო საბჭოების სამუშაო ჯგუფების ოქმშიც სათანადოდ არის ასახული.	
	გ. ერთსა და იმავე სფეროში მომუშავე სხვადასხვა უწყებებისა და ინსტრუმენტების კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესება (მაგ., მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი).	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პერსონალი და ტექნიკური დახმარების ექსპერტები აქტიურ კავშირში არიან რგპ-ს სამუშაო ჯგუფთან; როდესაც კონკრეტული საჭიროება ან გართულება იჩენს თავს, მისი გადაჭრა მჭიდრო თანამშრომლობით და სათანადო კონსულტაციებით ხდება. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალური განვითარების ფონდი და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაც ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს, რადგან მათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთო პროექტები აქვთ.	
4.	გამარტივებული / გაუმჯობესებული შიდა პროცედურების გამოყენება სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შემთხვევაში.	მიმდინარე პროცესი. რგპფ-ს შეფასების პროცედურები და ინსტრუქციები გადაიხედა და უკვე გატარდა როგორც ეროვნულ, ისე სუბ-ნაციონალურ დონეზე. შემდგომი ცვლილებები მთავრობის 2015 წლის 25 ნოემბრის #594 -ე დადგენილების თანახმად	

		განხორციელდა. მეთოდოლოგიის ფორმატში ცვლილებებს დოკუმენტის ეფექტურობის, გამოყენებადობის და გამჭვირვალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი მოყვა. იგი პროექტის შერჩევის და შეფასების მკაცრ და ობიექტურ კრიტერიუმებს აყალიბებს და ორდონიან ფილტრში გატარებით ინდივიდუალური ქულების მინიჭებით მნიშვნელოვნად ამცირებს სუბიექტურ და დაუსაბუთებელ ფაქტორებს. შემდგომი გაუმჯობესება 2017-2018 წლებში იგეგმება.	
რეკომენდაციები რეგიონული პოლიტიკის შესახებ			
5.	მომავალი რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადებისას, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ასიგნებების გამოყოფის/ზრდის შესაძლებლობათა განხილვა ცალკეული მიმართულებებით; კერძოდ, **მცირე და საშუალო მეწარმეობისა და საინოვაციო განვითარების ხელშეწყობის კუთხით.** აგრეთვე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის, ადამიანური რესურსების განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საჯარო მომსახურებების (განათლება, ჯანდაცვა) მიწოდების უზრუნველყოფით	რეკომენდაციები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ახალი, **2018-2020 წლების** საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადების პროცესში.	
6.	რეგიონული განვითარების პოლიტიკის უფრო ეფექტიანი წარმართვისთვის, მეტი ფინანსური რესურსების მობილიზება		
	ა. შესაძლებლობების განხილვა	2018 წლიდან.	

	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, როგორც მუნიციპალიტეტების პროექტების დაფინანსების ერთ-ერთი წყაროს შესაძლო გარდაქმნისთვის, რეგიონების უფრო ფართო სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტად.	მას შემდეგ რაც მოხდება საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და „რეგიონული პოლიტიკის და განვითარების დაგეგმვის“ შესახებ კანონპროექტის დასრულება/დამტკიცება.	
	ბ. საბიუჯეტო დანახარჯებსა და საერთაშორისო დონორების დაფინანსებულ ან განხორციელებულ აქტივობებს შორის გაუმჯობესებული კოორდინაცია. ასევე, რეგიონული საჭიროებების განმსაზღვრელ ინსტრუმენტებზე მეტი ფოკუსირება.	მიმდინარე პროცესი	
	გ. რეგიონული განვითარების ხელშეწყობისთვის, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტებიდან მეტი დაფინანსებისა და თემატური პროექტების ინიცირების ძალისხმევა საქართველოსთვის.	ევროკავშირთან 2017-2020 წლების ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩო (SSF) დოკუმენტთან დაკავშირებით აქტიური კონსულტაციები დასკვნით ფაზაში შედის. ტერიტორიული / რეგიონული განვითარება ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩო პროგრამის პირველივე ბლოკის პრიორიტეტებს შორისაა, რაც შესაბამის წინაპირობას წარმოადგენს 2018 წელს ახალი სექტორული დახმარების ფაზის ინიცირებისთვის. აღნიშნული სექტორული დახმარების პროგრამის კონკრეტული ასპექტები და საბოლოო ფორმატი შემდგომი კონსულტაციების საგანს წარმოადგენს.	

2016 წელს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების დროს დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროგრესს ჰქონდა ადგილი, თუმცა კვლავ რჩება გარკვეული დაბრკოლებები და ბარიერები, რომლებიც პროგრამის

განხორციელებას აფერხებს. ამ ბარიერების გადასალახად რამოდენიმე დამატებითი ღონისძიების განხორციელებაა რეკომენდირებული.

დამატებითი რეკომენდაციები რგპ-ს განხორციელების მეორე წლის შემდეგ

	რეკომენდაცია	რეკომენდაციის მიმღები	განხორციელების გზები	განხორციელების ბოლო ვადა
რეკომენდაციები რგპ-ს მართვის, პროგრამირების, მონიტორინგისა და განხორციელების შესახებ				
1	2015-2017 წლების რგპ-ს მონიტორინგის პროცესის მთავარი ელემენტები შემდგომი განვითარება-დახვეწის საგანი უნდა იყოს	განმახორციელებელი უწყებები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ზოგიერთი ინდიკატორისთვის (უმეტესად შედეგის ინდიკატორების, თუმცა ასევე ზოგიერთი მყისიერი ინდიკატორის) სამიზნეების დასახვისას ჯერ კიდევ არსებული უზუსტობების აღმოფხვრა. ასევე შერჩეული ინდიკატორების სისტემატიური მონიტორინგის უზრუნველყოფა.	2017 წელი
2	რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე საქართველოს სამთავრობო უწყებების შემდგომი გაძლიერება, მათ შორის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შესაძლებლობების გაზრდა მთელი პროცესის კოორდინაციისთვის. რეკომენდირებულია განმახორციელებელი ინსტიტუციებისა და უწყებების უფრო მეტი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რეგიონული განვითარებს სამთავრობო კომისია. მხარდაჭერას გაუწევს ტექნიკური დახმარების პროექტი და სხვა დონორები.	კონკრეტულ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კადრების გამოყოფა, შესაძლებლობების გაზრდის პროგრამები, დამატებითი ტრენინგები, სტანდარტული სახელმძღვანელოების მომზადება.	2017 წელი

	ჩართულობა მონიტორინგისა და პროგრამირების პროცესში.			
3	ოფიციალური სტატისტიკის შემდგომი გაუმჯობესება, რაც რგპ-ს უკეთესი მონიტორინგის და შეფასების საშუალებას მოგვცემს.	საქსტატი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	რეგიონულ დონეზე არსებული შედეგის ინდიკატორების ეტაპობრივად რაოდენის ზრდა, მათ შორის რეგიონული ანგარიშებისა და ბიზნეს სტატისტიკის განვითარება. სამომავლოდ, სტატისტიკური მიზნებისთვის ტერიტორიული ერთეულების საერთო კლასიფიკაციის შემოღების (NUTS) დადგენილების შესაბამისობაში მყოფი ტერიტორიული ნომენკლატურის დანერგვის განხილვა.	2017+
4	2017 წლის ბოლომდე შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, უნდა განისაზღვროს ინდიკატორებისა და მათი სამიზნეების სრული სია და შესაბამისად, მოხდეს ღონისძიებების ცხრილის განახლება.		ეს ღონისძიება შეიძლება გატარდეს ახალი მონიტორინგის წლიური ანგარიშის მომზადების პარალელურად და გამოყენებულ იქნეს ტექნიკური დახმარების რესურსები.	2017-18 წწ.
5	რგპ-ს განმახორციელებელი ინსტიტუტებისთვის რეგიონული პროგრამების გავლენების შესახებ სახელმძღვანელოს მომზადება და მოსალოდნელი		განხორციელება შესაძლებელია ტექნიკური დახმარების პროექტის რესურსების გამოყენებით.	2017 წ.

	შედეგების გაზომვა და ასევე ამ საკითხზე ტრენინგების ჩატარება.			
რეგიონული პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციები				
6	2015-2017 რგპ-ის დასრულების შემდეგ, პროგრამული დავალების მომდევნო ფაზის მომზადებისას საკმარისი საბაზისო მონაცემების არსებობისთვის, უნდა მომზადდეს რგპ-ს უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური შედეგების და რეგიონულ კოჰეზიაზე მისი გავლენის დეტალური და სიღრმისეული შეფასება.	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტები.	გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონულ დონეზე ინდიკატორების ნაკლებობას აქვს ადგილი და ასევე, ამ სფეროში საქართველოში სათანადო ცოდნის სიმწირეა, ამ შეფასების ფარგლებში რგპ-ის გავლენების შეფასებისთვის მაკროეკონომიკური მოდელირება უნდა იქნეს გამოყენებული.	ანალიზი და კვლევა/შეფასება - 2018 წ.

დანართი 1: კონკრეტული ღონისძიებების დონეზე ფინანსური და ფიზიკური პროგრესის მოკლე შეჯამება

1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები

			2016 წელი								
ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	სამიზნე ღირებულება; მლნ. ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯი; მლნ. ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები		**ამ ღონისძიების თვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**516,9**	**257,1**	**249,6**	**197,1**	**312,3**	**509,4**	38,1	60,4	**98,5**
	25 02 02 (გარდა 25 02 02 05 და 25 02 02 07)	გზების მშენებლობა და პერიოდული მოვლა-პატრონობის სამუშაოები	**239,1**	197,6	41,5	105,4	133,1	**238,5**	44,1	55,7	**99,8**
	25 02 03	საავტომობილო გზების მშენებლობა	**277,8**	63,5	214,3	91,7	179,2	**270,9**	33,0	64,5	**97,5**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

აღნიშნული ღონისძიებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2016 წელს 516 მლნ გამოიყო. საანგარიშო წლის განმავლობაში გზების დეპარტამენტმა 509.4 მლნ ლარი დახარჯა - გამოყოფილი თანხის 98.5%/

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წელს საქართველოს გზების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. გზების დეპარტამენტის მიერ 2016 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოვლა-შენახვის სამუშაოები ჩაუტარდა 232 კმ

არსებულ გზებზე, დაიგო ჩქაროსნული გზატკეცილის 24 კმ გზის მონაკვეთი. ასევე განხორციელდა 32 ხიდის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

რეგიონულ ჭრილში - 2016 წელს ყველაზე დიდი სამუშაოები ჩატარდა იმერეთში. გზების ყველაზე ფართომასშტაბიანი სამუშაოები სწორედ ამ რეგიონზე მოდის (65.9 კმ), მეორე ადგილზეა კახეთი (34 კმ) და შემდეგ ქვემო ქართლი (48.6 კმ). ახალი ჩქაროსნული გზატკეცილის ყველაზე დიდი ნაწილი იმერეთის ტერიტორიაზე დაიგო (17.2 კმ) დარჩენილი 7 კმ კი შიდა ქართლზე მოდის. 32 ხიდიდან ქვემო ქართლში 10 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდა, ხოლო იმერეთში - 9-ის.

მთლიანობაში რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების 2 წლის მანძილზე რეაბილიტაცია ჩატარდა 486 კმ გზის მონაკვეთზე (სამიზნე მაჩვენებლის 69.4%). დაიგო ჩქაროსნული გზატკეცილის 54 კმ (66.9%) და მოხდა 76 ხიდის მშენებლობა ან რეაბილიტაცია (სამიზნე ღირებულების 63.3%). ეს პროგრამის ძალიან კარგად განხორციელებაზე მეტყველებს.

გზების სექტორში ძველი „საბჭოთა“ სტანდარტების არსებობა ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად რჩება. გამომდინარე აქედან, არსებული სტანდარტების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაცია და ახალი სტანდარტების დანერგვა შემდგომი მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

რგპ-ს ფარგლებში თბილისი-ქუთაისი-ბათუმის 24 კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობის წყალობით თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობის საშუალო დრო 5 საათი და 45 წუთიდან 5 საათამდე შემცირდა. ამან ქვეყნის გამტარუნარიანობა და გადაადგილების სიჩქარეები მნიშვნელოვნად გაზარდა.

1.2 მყარი ნარჩენების მართვა

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.2 მყარი ნარჩენების მართვა		1.2 ღონისძიების თვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა	7,7	7,0	0,7	3,7	5,4	9,1	47,6	70,5	118,1

	25 03 07 (2017 - 25 05 01)	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვა	**7,0**	7,0	0,0	3,0	4,0	**7,0**	42,9	57,1	**100,0**
	25 03 08 (2017 - 25 05 02)	ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KFW)	**0,2**	0,0	0,2	0,5	1,4	**2,0**	273,0	714,0	**987,0**
	25 03 09 (2017 - 25 05 03)	ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA)	**0,5**	0,0	0,5	0,1	0,0	**0,1**	23,8	0,0	**23,8**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ამ ღონისძიებებისთვის ბიუჯეტიდან გამოიყო 7.7 მლნ ლარი, ხოლო რეალურმა დანახარჯმა 9.1 მლნ ლარი შეადგინა.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წელს სხვადასხვა რეგიონში 4 ნაგავსაყრელის დახურვა მოხდა, კერძოდ კი წალკაში, და მანგლისში-ქვემო ქართლში, გურჯაანში-კახეთი და მარტვილში-სამეგრელო ზემო სვანეთი. 2015 წელს დახურულ 13 ნაგავსაყრელთან ერთად, საერთო ციფრი (17) პროგრამის პერიოდში დასახულ მიზანს შეესაბამება. ზამთრის ამინდის პირობებიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთში (ბაკურიანში) დამატებით კიდევ ერთი ნაგავსაყრელის დახურვა 2017 წლისთვის გადაიდო.

2016 წელს ქვემო ქართლში (რუსთავი), რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთსა (ცაგერი) და იმერეთში (ტყიბული) სამი ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია განხორციელდა. 2015 წელს 15 ნაგავსაყრელის რეაბილიტაციასთან ერთად, საერთო ჯამში სამი წლის მიზნის მიღწევა 2 წელში გახდა შესაძლებელი.

ნაგავსაყრელების რეაბილიტაციისა და დახურვის თვალსაზრისით, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ 2015-2017 წლის პერიოდის მიზნის მიღწევა პროგრამის განხორციელების 2 წელში შეძლო.

კომპანიამ 2015-2017 წლების რგპ-ს მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება შემდეგნაირად მოახდინა: არსებული ობიექტების მართვა, რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა და მართვა, დასავლეთ საქართველოში მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

პროგრამის განხორციელების ორწლიანი პერიოდის შედეგად, ნაგავსაყრელების წილი, სადაც მოხდა მართვის გაუმჯობესება და ასევე შემცირდა გარემოსა და საზოგადოებრივ

ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის რისკები, 2014 წელს დაფიქსირებული 23%-დან 2016 წელს 89%-მდე გაიზარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2017 წლის ბოლოსთვის, კომპანიის გეგმით ეს ინდიკატორი 94%-მდე უნდა გაიზარდოს. გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში გარემოზე შემცირებული უარყოფითი ზეგავლენის მქონე ნაგავსაყრელების წილი 100%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საბიუჯეტო კოდს - 25 05 02, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ანგარიშის მიხედვით, შესრულების მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა განპირობებულია 2 ფაქტორით: ერთის მხრივ, ლარის კურსის ცვლილებით ევროსთან მიმართებაში და მეორეს მხრივ, კონსულტანტების მუშაობის დაჩქარებით 2016 წლისთვის დაგეგმილ სამიზნესთან მიმართებაში. გარდა ამისა, ზემოხსენებული გამოწვეულია პირდაპირი გადახდის მეთოდის გამოყენების და დონორული სახსრების ხელმისაწვდომობთან დაკავშირებით გარკვეული უზუსტობების გამო.

1.3. წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია

			2016 წელი								
ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.3 წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია	**კოდიდან 25 04**	**1.3 ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**157,9**	**33,2**	**124,7**	**64,8**	**93,4**	**158,2**	41,0	59,2	**100,2**
	25 04 01	ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET)	**3,5**	0,0	3,5	1,2	3,4	**4,6**	34,6	98,3	**132,9**
	25 04 02	წლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი I (EIB EU)	**0,9**	0,1	0,7	0,1	0,6	**0,8**	12,5	75,2	**87,7**
	25 04 03 (25 04 02)	წლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU)	**27,4**	4,1	23,3	12,9	13,8	**26,7**	47,0	50,3	**97,3**

	25 04 04 (2017 - 25 04 03)	წყალარინების სისტემის მდგრადი მართვის პროექტი (SIDA)	**2,6**	0,1	2,5	0,3	2,2	**2,5**	12,3	84,4	**96,7**
	25 04 05 (2017 - 25 04 04)	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროექტი (ADB)	**109,9**	15,2	94,7	46,6	63,4	**110,0**	42,4	57,7	**100,1**
	25 04 07 (2017 - 25 04 05)	რეგიონში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებები	**13,6**	13,6	0,0	3,7	9,9	**13,6**	27,2	72,8	**100,0**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ეს ღონისძიება მოიცავს სათავე და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას, ასევე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციასა და წყალარინების სისტემის მშენებლობას. ღონისძიებას ახორციელებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და მუნიციპალური განვითარების ფონდი. ღონისძიების სამიზნე ბიუჯეტს 157.9 მლნ ლარი შეადგენდა ხოლო დაიხარჯა 158.2 მლნ ლარი - სამიზნე ღირებულების 100%.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2015 და 2016 წლებში ახალი სათავე და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა და რეკონსტრუქცია არ მომხდარა, მაშინ როცა 2017 წლისთვის განსაზღვრული მიზანი რეგიონებში 5 სათავე და 2 გამწმენდი ნაგებობის აშენებას ითვალისწინებდა. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობის, ანაკლიის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის, ურეკის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის, ურეკის კანალიზაციის გამწმენდი სისტემის მშენებლობის, ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციის II ფაზის და ზუგდიდის სასმელი წლის სისტემის მშენებლობის თვალსაზრისით.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, 2016 წელს წყალმომარაგების სისტემას 11348 ახალი მომხმარებელი მიერთდა. 2015 და 2016 წლებში წყალმომარაგების სისტემაზე დაკავშირებული მომხმარებლების საერთო რიცხვი 15075, რაც სამწლიანი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ მიზანს მნიშვნელოვნად აღემატება.

2016 წელს საკანალიზაციო სისტემაზე 296 მომხმარებლის მიერთება მოხდა, რაც 2015 წლის მაჩვენებლის ტოლია. 2015-2017 წლებისთვის სამიზნე ღირებულებას 350 მომხმარებელი შეადგენდა.

მოსახლეობის 95%-ის სასმელი წლით 24 საათიანი მომარაგება რგპ-ს მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენს. 2016 წელს თბილისის, მცხეთის, რუსთავისა და ბათუმის გამოკლებით,

ქვეყნის მოსახლეობის წილი, ვისაც წყალი 24 საათის განმავლობაში მიეწოდებოდა, 2014 წლის 5.9%-იანი მაჩვენებლიდან 2016 წელს 18.9 %-მდე გაიზარდა, ხოლო ქალაქებში ინდიკატორი დაახლოებით 49%-ს შეადგენდა. ზოგიერთ რეგიონში (კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი) წყლის 24 საათიანი მომარაგება საერთოდ არ იყო. პროგრამის განხორციელების შედეგად, 2016 წლის ბოლოს, ამ წილობრივმა მაჩვენებელმა შესაბამისად 39%, 19%, 6%, 12% შეადგინა, გამონაკლისს წარმოადგენს მცხეთა - მთიანეთი, სადაც 24 საათიანი წყალმომარაგება დღემდე შეუძლებელი რჩება. დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელებაში მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები იყო ამინდის პირობები, მიწის მფლობელებთან გაჭიანურებული მოლაპარაკებები და ქვეკონტრაქტორების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა.

1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა

			2016 წელი								
ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი				განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)	
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა		**1.4 ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**16,8**	**14,3**	**2,5**	**8,6**	**8,0**	**16,6**	50,9	47,9	**98,8**
კატასტროფების რისკის შემცირება	25 02 02 05	სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები	**11,7**	11,7	0,0	6,7	5,0	**11,7**	57,1	42,6	**99,7**
	25 02 02 07	სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები	**2,4**	2,4	0,0	0,6	1,8	**2,4**	25,0	75,0	**100,0**

	38 08	გარემოს დაცვა, მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (მხოლოდ საკუთარი რესურსები)	**2,7**	0,1	2,5	1,3	1,2	**2,5**	46,5	46,1	**92.6**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

2016 წელს ამ ღონისძიებისთვის ბიუჯეტიდან 16.8 მლნ ლარი გამოიყო, ხოლო დაიხარჯა 16.6 მლნ ლარი. ღონისძიებას ატარებს გარემოს ეროვნული სააგენტო (ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და ადრეული გაფრთხილება) და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტი (ნაპირსამაგრი სამუშაოები და ბუნებრივ კატასტროფებზე მყისიერი რეაგირება).

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წელს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების და რეკომენდაციების შესახებ 202 გეოლოგიური კვლევა მოამზადა, სხვადასხვა რეგიონებში ჩაატარა ჰიდრო-მეტეოროლოგიური და გეოლოგიური დაკვირვებები, გეოლოგიური შეფასებები, გამოსცა წლიური გეოლოგიური ინფორმაციის ბიულეტენი და გეოლოგიური კატასტროფების რუკები; შემუშავებულ იქნა მდ. გლდანისხევის გეოლოგიური ანგარიში, წყალდიდობისა და მეწყერის რისკების რუკები ისეთი ტერიტორიებისთვის, როგორიცაა მესტია, ლენტეხი, ჭუბერი, მულახი, მესტიის მუნიციპალიტეტში შემავალი ბეჩოს და ნაკრას თემები(სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი); მომზადდა რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების შესახებ. საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი ბუნებრივი ჰიდრო-მეტეოროლოგიური პროცესების შესახებ 105 გაფრთხილება შემუშავდა და მიეწოდა შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და მედიას. ზემოთხსენებული სამუშაოები ყველა რეგიონს მოიცავდა (მათ შორის თბილისსაც).

2016 წელს ნაპირსამაგრი სამუშაოები 16 ობიექტზე განხორციელდა, საიდანაც სამუშაოები 10 ობიექტზე დასრულდა. ბუნებრივი კატასტროფების ლიკვიდაციისა და პრევენციის სამუშაოები 26 ობიექტზე მიმდინარეობდა; სამუშაოები 23 ობიექტზე დასრულდა.

2015-2017 წლების რგპ-ს განხორციელების შედეგად, კატასტროფებისგან დაცული ბუფერული ზონებიდან ორი კილომეტრის რადიუსში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 2015 წლის 159 ათასიდან 2016 წელს 356 ათასამდე გაიზარდა. ნაპირდაცვითი სამუშაოების მოცულობა 2014 წელს 4.7 კმ-დან 2017 წელს 20 კმ-მდე გაიზარდა. ამ ღონისძიების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების 99% ათვისება მოხდა.

1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	**კოდიდან 38 04**	**1.5 ღონისძიები სთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**3,2**	**1,8**	**1,4**	**0,9**	**1,5**	**2,5**	28,7	48,5	**77,2**
	38 04 02	ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები	**0,9**	0,7	0,1	0,3	0,5	**0,9**	39,4	57,8	**97,2**
	38 04 03	ტყითსარგებლობის ღონისძიებები	**1,4**	0,2	1,2	0,1	0,7	**0,7**	4,9	47,4	**52,4**
	38 04 04	საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო მართვა	**0,5**	0,5	0,0	0,1	0,3	**0,5**	28,2	66,9	**95,1**
	38 04 05	ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები	**0,4**	0,4	0,0	0,4	0,0	**0,4**	94,1	5,9	**100,0**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ღონისძიება ხორციელდება ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ. ღონისძიებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ 3.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო რეალურმა დანახარჯმა - 2.5 მლნ. ლარი (77%).

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წელს სააგენტო სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების საკითხზე მუშაობდა.მომზადდა და ძალაში შევიდა ცვლილებების პაკეტი ძირითად, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, მ.შ. ,,ტყითსარგებლობის წესში"- მიღებული იქნა 7 ცვლილების პაკეტი. ასევე, მიღებულ იქნა 3 ცვლილება ,,ხე-ტყის მოძრაობის წესების" მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში. გარდა აღნიშნულისა, მომზადდა რიგი

ცვლილებების პაკეტები, რომელთა მიღება მოხდება განხილვებისა და შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ. ასევე, მიღებულ იქნა „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება (დემარკაციის შესახებ).

2015-2017 წწ. ფართობების დამუშავება ხდებოდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გავრცელებული ქერქიჭამიების და ასევე, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ბზის „ალურას“ გასანადგურებლად. ყოველწლიურად ზუსტდება ფართობები, რომლებიც, მავნებლების გავრცელების ინტენსივობის გათვალისწინებით, შეიძლება დაემატოს ან შემცირდეს.

2016 წელს სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდა 22400 ჰექტარზე. ეს მაჩვენებელი 20165 წელს 26 000 ჰექტარს შეადგენდა. 2015-2017 წლების სამიზნე ნიშნული 86 800 ჰექტარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სააგენტოს დიდი ძალისხმევა სჭიდება, რათა 2017 წლის ბოლომდე პროგრამის საერთო მიზანი შესრულდეს. 2 წლის განმავლობაში სატყეო გზების 178,7 კმ-ის რეაბილიტაცია განხორციელდა (საიდანაც 2016 წელზე 55,7 კმ მოდიოდა). ეს სამი წლის მთლიანი გეგმის (750კმ.) მხოლოდ 26.5%-ს შეადგენს. 2016 წელს 400 მეტყევის და სფეროს სპეციალისტების გადამზადება მოხდა. სამი წლის სამიზნე მაჩვენებელი 700 იყო. 2015 წელს 200 ადამიანის გადამზადება მოხდა.

შედეგების მიღწევის მოკრძალებული ტემპი სხვადასხვა ფაქტორებით იყო გამოწვეული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: სატყეო ფონდებში რეალურად არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, მოსახლეობისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების დაბალი ცნობადობა, ფინანსური რესურსების ნაკლებობა, მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული პრობლემები.

სააგენტო მიზნად ისახავს ქვეყანაში არსებული ტყეების რაოდენობასა და მათი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესებას და ტყის მართვის ახალი სტანდარტების დანერგვას. პროგრამის განხორციელების წლებში იმ ტერიტორიის წილი, რომელზეც ჩატარდა ინვენტარიზაცია, 10.25%-დან 15.62%-მდე გაიზარდა. 2017 წლისთვის ამ მაჩვენებლის 17.47%-მდე გაზრდა იგეგმება.

2.1 ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოს რეგიონებში პროგრამული და ინსტიტუციონალური ინიციატივების საშუალებით

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო წყაროები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
2.1 ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოს რეგიონებში პროგრამული და ინსტიტუციონალური ინიციატივების საშუალებით	**24 01 03 02 (2017 - 24 07 02)**	**მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა**	**30,5**	30,5	0,0	**9,1**	**21,4**	**30,5**	30,0	70,0	**100,0**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 2 კომპონენტისგან შედგება, ესენია: ინდუსტრიული და მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება (MSBD). ინდუსტრიული ნაწილი გულისხმობს საწარმოების მხარდაჭერას კომერციული ბანკებისგან ფინანსური ინსტრუმენტების მიღებაში (სესხები და ლიზინგი) და სესხისა და ლიზინგის პროცენტის გადახდაში 2 წლის განმავლობაში, ხოლო MSBD მოიცავს ახალი მიკრო და მცირე ბიზნესის პერსონალის გადამზადებასა და 15 ათას ლარამდე ოდენობის მცირე გრანტებს.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთვის ღონისძიების განსახორციელებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ 2015-2017 წწ-ში 67.1 მილიონი ლარი შეადგინა. 25.1 მლნ 2016 წელს დაიხარჯა, ხოლო 12 მილიონი - 2015 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გამოყოფილი თანხები პროგრამის თანადაფინანსების სახელმწიფო წილს წარმოადგენენ და მოიცავენ დანახარჯებს გადამზადებასა და მონაწილე საწარმოებისთვის პროცენტის სუბსიდირებას. რგპ-ს მთლიანი ინვესტირების სახსრები მოიცავს საწარმოებისთვის კომერციული ბანკების მიერ გაცემული მთლიანი სესხებისა და ლიზინგის ოდენობას.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

პროგრამის განხორციელებამ ძალიან კარგი შედეგები აჩვენა. ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში მთლიანმა ინვესტირებამ (სესხებისა და ლიზინგის ჩათვლით) 2016 წელს 152 მლნ ლარი შეადგინა, 27 მილიონით მეტი ვიდრე წლიური სამიზნე იყო. მხარდაჭერილ იქნა

79 ახალი ბიზნესი, რომელთაგან 34 თბილისსა და აჭარაში იყო კონცენტრირებული, ხოლო 35 დანარჩენ 9 რეგიონში.

მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების კომპონენტის ფარგლებში, 2016 წელს მხარდაჭერილ იქნა 2597 მიკრო და მცირე ბიზნეს ოპერატორს (მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც), შეიქმნა 2300 ახალ სამუშაო ადგილზე მეტი და მოხდა 6834 ბენეფიციარის გადამზადება. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების 100% დაიხარჯა.

პროგრამამ დადებითი გავლენა იქონია დასაქმებაზე. პროგრამის შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულთაგან მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა წილი 2014 წლის 0.44% ნიშნულიდან 1.59%-მდე გაიზარდა 2015 წელს და 2.2%-მდე -2016 წელს. რეგიონებში (გარდა რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა), პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა მაქსიმალური წილი ბიზნესში დასაქმებულთა მთლიან მაჩვენებელთან შეფარდებაში 9%-ს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში. თბილისში 2016 წელს ეს ინდიკატორი 0.7% იყო, ხოლო აჭარაში - 1.2%, რაც აქ მცირე და საშუალო ბიზნესში სამუშაო ადგილების შექმნის სხვა შესაძლებლობებზე მეტყველებს.

პროგრამის მიერ სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით ყველაზე შთამბეჭდავი შედეგი საქართველოს სოციალურად ყველაზე არამდგრად რეგიონებში - რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა. თუ 2015 წელს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა წილი რეგიონში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საერთო მაჩვენებელთან შედარებით 2%-ს შეადგენდა, 2016 წელს იგი 43%-მდე გაიზარდა. 2017 წელს მოსალოდნელია, რომ პროგრამა რეგიონში მთლიანი სამუშაო ადგილების ნახევარს უზრუნველყოფს.

სოფლის მეურნეობის განვითარება

3.1 საირიგაციო სისტემის მართვის გაუმჯობესება

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზება	**კოდიდან 37 01**	**3.1 ღონისძიების თვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**68,3**	**54,9**	**13,4**	**21,3**	**45,5**	**66,7**	31,2	66,6	**97,8**

	37 01 14 01 (2017 - 37 01 12 01)	ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება 2017 - და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა) (მსოფლიო ბანკი)	**12,9**	0,0	12,9	7,9	4,9	**12,7**	61,0	37,8	**98,8**
	37 01 03 (2017 - 37 07)	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (2017 წ-ს. სასოფლო-სამეურნეო სექტორის მხარდაჭერა)	**53,0**	53,0	0,0	13,4	39,6	**53,0**	25,3	74,7	**100,0**
	37 01 14 03 (2017 - 37 07 05)	ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO)	**2,4**	1,9	0,5	0,0	1,0	**1,0**	0,0	42,6	**42,6**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

2016 წელს ამ ღონისძიების ფარგლებში გამოყოფილმა თანხამ 68.3 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო რეალურმა დანახარჯმა - 66.7 მლნ. ლარი (მთლიანი თანხის 97.8%).

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წელს ირიგაციის სისტემების 46 სარეაბილიტაციო და სამშენებლო პროექტი დასრულდა. პროექტმა შემდეგი რეგიონები მოიცვა: ქვემო ქართლი (გარდაბანის, თეთრიწყაროს და მარნეულის მუნიციპალიტეტი), კახეთი (საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის და სიღნაღის, ლაგოდეხის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები), მცხეთა-მთიანეთი (დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტები), შიდა ქართლი (კასპის, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტები), იმერეთი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), სამცხე-ჯავახეთი (ახალციხის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტები), გურია (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), სამეგრელო-ზემო სვანეთი (ხობის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), აჭარა (ქობულეთის მუნიციპალიტეტი). თუმცა გასარწყავებული ნაკვეთების ფართობმა 2016 წელს 26 ათასი ჰა შეადგინა, ხოლო 2015 წლის მაჩვენებელთან ერთად - 38 ათასი ჰექტარი, მაშინ როცა სამიზნე ღირებულება 2016 წლისთვის მნიშვნელოვნად მაღალი - 32 მლნ იყო.

2016 წელს ნორმალური სადრენაჟო სისტემის მქონე მიწების ფართობი 10.4 ათასი ჰექტარი იყო, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან ერთად 12.5 ათას ჰექტარს წარმოადგენდა. შპს „საქართველოს მელიორაციას“ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული შედეგების (ანუ

გასარწყავებული და დრენაჟირებული ტერიტორიების გასამმაგება) მისაღწევად 1 მილიარდი ლარის ოდენობის ინვესტირება ესაჭიროება.

მიუხედავად მოკრძალებული მყისიერი ინდიკატორებისა, ქვეყნის მასშტაბით გასარწყავებული ტერიტორიის შედეგის ინდიკატორები დადებით ტენდენციაზე მეტყველებენ, თუმცა მიღწეული მაჩვენებელი ჯერ კიდევ არ არის მაღალი. თუ 2014 წელს მთლიანი მშრალი მიწებიდან გასარწყავებული ტერიტორიის წილი 32 %-ს შეადგენდა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 40%-მდე გაიზარდა. 2017 წლისთვის 42%-მდე ზრდა იგეგმება. კახეთში მოკრძალებული - 1 პროცენტიანი ზრდა აღინიშნა - 17% -დან (2014წ.) 18%-მდე (2016). სხვა რეგიონებში ზრდა უფრო შესამჩნევი იყო. 2014-2016 წლების განმავლობაში იმერეთში გასარწყავებული მიწების წილმა 29%-დან 43%-მდე მოიმატა, სამცხე - ჯავახეთში - 24%-დან -53%-მდე, მცხეთა-მთიანეთში - 61%-დან - 79%-მდე. ქვემო ქართლში - 49%-დან - 61%-მდე, შიდა ქართლში -28%-დან 31%-მდე. წყალდიდობისგან დაცული მიწების წილი მთელი ქვეყნის მასშტაბით 25%-დამ 33%-მდე გაიზარდა. ამ თვალსაზრისით შესამჩნევი გაუმჯობესება აღინიშნა კახეთსა (2014 წელს - 9%, 2016 წელს - 37%) და გურიაში (19%-დან 30%-მდე იმავე პერიოდში).

3.2. ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	2016 წელი					
						რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა (აგრო-კრედიტის პროგრამა)	**37 01 07 (2017 - 37 05 02)**	**3.2 ღონისძიები სთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**49,2**	**48,9**	**0,2**	**23,3**	**25,9**	**49,2**	47,3	52,2	**99,5**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

„შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტი“ 2013 წლის 27 მარტს დაიწყო. პროექტის დაწყებამდე ფინანსური ინსტიტუტების უმეტესობა ამ სექტორს სარისკოდ მიიჩნევდა და სესხებს მაღალ საპროცენტო განაკვეთში გასცემდა. პროექტის მიზანი იყო თანადაფინანსებისა და 2 წლის განმავლობაში ბანკის სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების გზით კომპანიებისა და ცალკეული ინდივიდებისთვის ხელმისაწვდომი და გრძელვადიანი ფულადი სახსრების შეთავაზება.

ამ ღონისძიებისთვის ბიუჯეტიდან 48.9 მლნ ლარი გამოიყო, ხოლო დაიხარჯა 49.2 მლნ ლარი, რაც დაახლოებით 100%-ს შეადგენს.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 74 მილიონი ლარი დაიხარჯა ეროვნულ ვალუტაში და დაახლოებით 52 მლნ - აშშ დოლარში. ყველაზე დიდი რაოდენობის და მოცულობის სესხები კახეთსა და შიდა ქართლზე გაიცა.

	ლარი		აშშ დოლარი	
რეგიონი	**რაოდენობა**	**გაცემული თანხა**	**რაოდენობა**	**გაცემული თანხა**
აჭარა	6	265,000	15	652,700
გურია	10	348,800	10	1,044,800
თბილისი	9	635,500	21	3,988,055
იმერეთი	69	4,357,442	58	2,612,049
კახეთი	543	47,088,705	400	26,534,747
მცხეთა-მთიანეთი	27	1,233,500	20	1,624,553
რაჭა-ლეჩხუმი	4	430,000	8	464,170
სამეგრელო	84	3,350,155	53	3,681,491
სამცხე-ჯავახეთი	69	2,888,200	28	794,079
ქვემო ქართლი	42	3,020,190	56	4,541,238
შიდა ქართლი	196	10,103,699	165	5,917,147
სულ	**1,056**	**73,721,191**	**834**	**51,855,029**

2016 წელს 14 ახალი საწარმო დაფინანსდა, რომელთაგან 4 კახეთში, 3 შიდა ქართლში და თითო შემდეგ რეგიონებში: აჭარა, გურია, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, თბილისი.

პროექტი მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესების გაუმჯობესებას. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შედეგის ინდიკატორები არ წარმოუდგენია, თუმცა ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, სოფლის მეურნეობის სექტორისთვის სასესხო პორტფელი 2013 წლის 56.5 მლნ ლარიდან (პროექტის საწყისი ეტაპი) 2016 წლის ბოლოსთვის 365.5 მლნ ლარამდე გაიზარდა.

3.3 სხვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამები

			2016 წელი								
ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები	**37 01 და 35 05**	**3.3 ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**158,0**	**134,5**	**23,5**	**72,9**	**77,2**	**150,1**	46,1	48,9	**95,0**
	37 01 05 (2017 - 37 06)	სოფლის მეურნეობის კოოპერატივების მხარდაჭერის აქტივობები	**4,8**	4,8	0,0	0,7	1,8	**2,5**	14,1	37,5	**51,6**
	37 01 08	მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო აქტივობების მხარდაჭერა	**51,3**	51,3	0,0	44,9	6,4	**51,3**	87,5	12,5	**100,0**
	37 01 17 (2017 - 37 05 07)	სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების თანადაფინანსება	**14,4**	0,0	14,4	4,7	3,7	**8,4**	32,6	25,7	**58,3**
	37 01 14 02 (2017 - 37 07 04)	სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი აქტივობები (GEF, IFAD)	**3,0**	0,3	2,7	0,5	1,6	**2,1**	17,3	52,2	**69,5**
	37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოდური უსაფრთხოება	**29,6**	24,3	5,2	14,9	16,9	**31,8**	50,4	57,2	**107,6**
	37 03	მევენახეობის განვითარება	**44,5**	43,9	0,6	3,4	40,7	**44,1**	7,6	91,5	**99,1**

	37 04	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებები	**10,4**	9,8	0,6	3,8	5,6	**9,4**	36,3	58,6	**94,9**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ქვე-ღონისძიების ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი ფერმერების კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა. 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 158 მლნ ლარი გამოიყო, საიდანაც 150 მლნ ლარი დაიხარჯა (95%).

2016 წლის შესრულების პროგრესი

სასოფლო კოოპერატივის სტატუსი 436 სასოფლო კოოპერატივს მიენიჭა. მთლიანობაში 2015 წლიდან მთელი საქართველოს მასშტაბით 1292 სასოფლო კოოპერატივი დარეგისტრირდა. მათი უმეტესი ნაწილი სამცხე-ჯავახეთში (355), ქვემო ქართლსა (214), აჭარისა და კახეთი (154) რეგიონებში მდებარეობდა.

საქართველოს რეგიონებში 98 **კვლევითი პროექტი** დასრულდა, რომელთაგან 50 2016 წელს განხორციელდა. 2016 წელს 241 ჰა **სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთები** მოეწყო, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება. სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებები, ახალი სახეობებისა და კულტურების დანერგვა, სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

განხორციელდა 10820 კვების და სოფლის მეურნეობის საწარმოს **სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით** მონიტორინგი. პროგრამის მიმდინარეობის 2 წლის მანძილზე მიღწეულმა მაჩვენებელმა 19044 შეადგინა, რაც 2015-2017 წლებში სამიზნე ღირებულებას ორჯერ მეტჯერ აღემატება. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლისთვის ჩატარებული **ტესტების** რაოდენობა 2015 წელს (4220) და 2016 წელს (3244) იყო, რაც უფრო მაღალია ვიდრე 2015-2017 წლებში დაგეგმილი სამიზნე ღირებულება (3500). ეს ციფრები თბილისსა და აჭარასაც მოიცავენ. ინტენსიური მონიტორინგის პოლიტიკის შედეგად, გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 31%-დან (2014წ.) 15 %-მდე (2015წ.)

2016 წელს ღვინის ხელშეწყობის კამპანიის ფარგლებში 117 ღონისძიება დაფინანსდა და საბოლოო ჯამში, პროგრამის მიმდინარეობის 2 წლის მანძილზე ამ ციფრმა 156 შეადგინა. ეს სამიზნე ღირებულებაზე თითქმის ორჯერ მეტია. ამ აქტივობების წყალობით, საზღვარგარეთ ქართული ღვინის გეოგრაფია გაიზარდა და ისეთ ქვეყნებშიც გავრცელდა, როგორიცაა იაპონია და ჩინეთი. 2015 წელს გარე ფაქტორებით გამოწვეული ღვინის ექსპორტის შემცირების შემდეგ, 2016 წელს ექსპორტის მოცულობა 19%-ით გაიზარდა.

3.4 სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
3.4 სასოფლო სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება		**3.4 ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი რაოდენობა**	**2,0**	**0,0**	**0,7**	**0,0**	**0,04**	**0,04**	0,0	2,0	**2,0**
	26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	**2,0**	0,0	2,0	0,0	0,04	**0,04**	0,0	2,0	**2,0**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ეს ღონისძიება ფინანსდება „მსოფლიო ბანკის“ სესხის საშუალებით და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ამ ღონისძიების ბიუჯეტი იყო 2 მლნ. ლარი, ხოლო რეალურად დაიხარჯა 40 ათასი ლარი.

2016 წლის დანახარჯის პროგრესი

ღონისძიება მიზნად ისახავს სოფლის-მეურნეობის მიწის ბაზრის განვითარებას, ფრაგმენტირებული ნაკვეთების კონსოლიდირების ხელშეწყობასა და სოფლის - მეურნეობაში ინვესტირების გაზრდას. ღონისძიების გატარების შედეგად, 2016 წლის ივნისში მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტის დასაწყებად საჭირო 6 საკანონმდებლო აქტი იყო მიღებული, მათ შორის კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. განისაზღვრა 12 დასახლება, სადაც საპილოტე პროექტის ფარგლებში მიწის სისტემური რეგისტრაცია განხორციელდება. ეს საქართველოში რეგულირებადი მიწის ბაზრისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

4.1 ტურიზმის განვითარება

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
4.1 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	**24 05 02**	**შიდა ტურიზმი და მარკეტინგული აქტივობები საერთაშორისო ბაზარზე**	**20,1**	20,1	0,0	**11,3**	**13,9**	**25,2**	56,2	69,1	**125,2**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

2016 წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხებმა 20.16 მილიონი ლარი შეადგინეს, ხოლო დანახარჯმა - 25.2 მილიონი ლარი.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

ღონისძიების ფარგლებში შემდეგი აქტივობები ჩატარდა:

- ტრენინგები ჩატარდა ტურიზმის სფეროში დასაქმებულთათვის აჭარისა და გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონებში.
- შეიქმნა სამი ტურისტული და 4 მცირე ინფრასტრუქტურული პროდუქტი: სვანეთში საფეხმავლო ბილიკები, მცხეთის ისტორიული ძეგლების ადაპტირება შშმ პირთათვის, ორმხრივი მანათობელი ბილბორდების მშენებლობა ქუთაისში (იმერეთი), ოზურგეთში (გურია), ახალციხესა (სამცხე-ჯავახეთი) და ყვარელში (კახეთში), სადაც განთავსდა ლოკაციის მაჩვენებელი რუკები. გუდაურსა (მცხეთა-მთიანეთი) და ბაკურიანში (სამცხე-ჯავახეთი) დამონტაჟდა სურათის ჩარჩოები.
- ბაკურიანსა და ფოთში (სამეგრელო-ზემო სვანეთი) გაიხსნა საინფორმაციო ცენტრები.
- ბაკურიანსა და მესტიაში სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები. კახეთში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოეწყო მსოფლიო სირბილის მარათონი, ხოლო აჭარაში საქართველოში აკრედიტირებული ელჩებისთვის საინფორმაციო ტური გაიმართა. ტურისტულმა ადმინისტრაციამ პირველად ჩაატარა გლობალური ღვინის კონფერენცია კახეთში. საქართველოს მედია საშუალებებისთვის პროგრამის „გაეცანი საქართველოს და იყავი ტურისტი შენ ქვეყანაში“ ფარგლებში მოეწყო პრეს ტურები შემდეგ რეგიონებში: კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარის ა.რ, მცხეთა-მთიანეთი და რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

2015-2016 წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა დადებითი გაზომვადი შედეგები: ადმინისტრაციის მონაცემების თანახმად, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 7%-ით გაიზარდა, ხოლო 2016 წელს - 14%-ით (პროგნოზი). რგპ-ს არაპირდაპირი დადებითი შედეგია ტურისტების რაოდენობის ზრდიდან ეკონომიკაში უცხოური ვალუტის შემოდინების ნაკადის 1.14 მლნ დოლარიდან 1.17 მლნ. დოლარამდე გაზრდა (2016 წლის III კვარტალი).

5.1. შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი									
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა	**35 05 03**	**სამუშაო პირობების შემოწმება**	**0,3**	0,3	0,0	**0,1**	**0,2**	**0,3**	17,5	0,0	**17,5**

ეს ღონისძიება ქვეყნის მასშტაბით ტარდება, მაგრამ კონკრეტულ რეგიონებში არსებული სიტუაციაზე ფოკუსირების შედეგად შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა 2015 წელს მომზადდა. გამომდინარე იქიდან, რომ შემდეგი კვლევა 2018 წელს უნდა ჩატარდეს, 2016 და 2017 წლებში დამატებითი აქტივობები და დანახარჯები არ იგეგმება.

5.2. არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016									
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია,	32 06 02 02 (2017 - 32 07 02 02)	**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუტების ინფრასტრუქტ**	**10,0**	10,0	0,0	**3,6**	**6,3**	**9,9**	35,8	62,7	**98,6**

აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება		ურული განვითარება									

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ღონისძიება მიზნად ისახავს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას და სათანადო აღჭურვას. 2016 წელს ამ ღონისძიებისთვის 10 მილიონი ლარი გამოიყო საიდანაც 9.9 მილიონი ლარი იქნა ათვისებული.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წელს 9 კოლეჯის მშენებლობა დასრულდა და 5 კოლეჯის მშენებლობა ჯერ კიდევ პროცესში იყო, მაშინ როცა პროგრამის მიზანს 3 წლის მანძილზე სულ მცირე 1 სასწავლო დაწესებულების მშენებლობა წარმოადგენდა. 2016 წელს 18 კოლეჯის განახლება მოხდა, ამ შემთხვევაშიც 3 წლის მიზანი 20 კოლეჯი იყო. 2016 წლის მონაცემებით, სახელმწიფოს დაქვემდებარებასა და მონაწილეობით საქართველოში 38 საგანმანათლებლო დაწესებულება ოპერირებს, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ (კოლეჯები და უნივერსიტეტები). 2016 წელს რეაბილიტაციის/აღჭურვის სამუშაოები შემდეგ რეგიონებში განხორციელდა:

- ქვემო ქართლი - 1 პროფესიული კოლეჯი
- იმერეთი - 1 პროფესიული კოლეჯი
- კახეთი - 3 პროფესიული კოლეჯი
- მცხეთა-მთიანეთი - 3 პროფესიული კოლეჯი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 1 პროფესიული კოლეჯი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 4 პროფესიული კოლეჯი
- სამცხე ჯავახეთი - 1 პროფესიული კოლეჯი

ამ ღონისძიების (5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება“) განხორციელების შუალედური შედეგი დაკავშირებულია პროფესიული კოლეჯების სტუდენტების რიცხვის და პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა დასაქმების დონის ზრდასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების რიცხვი იზრდება (2014 წელს - 9910 სტუდენტი; 2015 წელს - 10 273 სტუდენტი; 2016 წელს - 11 651 სტუდენტი). ამასთანავე გაიზარდა პროფესიული განათლების მქონეთა დასაქმების დონე (2015 წელს - 47% (2015 კურსდამთავრებული); 2016 წელს- 56% (2015 კურსდამთავრებული). 2017 წლის მოლოდინით, პროფესიული კოლეჯების სტუდენტების რიცხვი 2016 წლის მონაცემებთან შედარებით სულ მცირე 5%-ით უნდა გაიზარდოს.

5.3. პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები

2016 წელი											
ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.3 პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები		**რესურსები არ არის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩამოთვლილი; არ აქვს საბიუჯეტო კოდი**	**1,8**	0,0	1,8	**1,4**	**0,0**	**1,4**	**78,1**	**0,0**	**78,1**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ეს ღონისძიება ფინანსდება UNDP-ის მიერ და იგი 2013-2018 წლებში უნდა განხორციელდეს. პროექტის პირველი ეტაპი 2013-2016 წლებს მოიცავს. 2016 წელს ამ ღონისძიებისთვის 1.8 მილიონი ლარი გამოიყო, საიდანაც 1.4 მილიონის ათვისება მოხდა.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

პროექტის განხორციელების განმავლობაში აქტივობები ისე გარდაიქმნა, რომ მთავარი დატვირთვა პროფესიული განათლების სისტემის (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და პროფესიული კოლეჯები) მხარდამჭერ აქტივობებზე მოდის. სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით კი, იგი საინფორმაციო -საკონსულტაციო მომსახურებების განვითარებაზეა მიმართული (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეგიონული და რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ოფისები).

სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში 60 დღიანი მოდულური გადამზადების პროგრამა განხორციელდა დარგის კონსულტანტებისთვის: 15 მონაწილე იმერეთში; 15 მონაწილე - სამეგრელოში; პარალელურად, პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 400 ფერმერს გაეწია კონსულტაცია თხილის კულტივაციასთან დაკავშირებით; საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების 25-მა თანამშრომელმა პრეზენტაცია-კომუნიკაციის უნარებში ტრენინგ კურსი ჩაატარა. სამცხე - ჯავახეთის რეგიონში მოეწყო 4 სადემონსტრაციო ნაკვეთი; ჩატარდა 16 თემატური დღე; 290 ფერმერს კონსულტაციები გაეწია მარცვლეულისა და პარკოსნების მოყვანის ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. გადამზადდა სფეროს 13 კონსულტანტი (აგრონომი). რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში პარკოსანი ნათესების ერთი სადემონსტრაციო ნაკვეთი მოეწყო. ჩატარდა 5 თემატური დღე; 30 ფერმერს გაეწია კონსულტაცია პარკოსნებთან დაკავშირებით; გადამზადდა სფეროს 4 კონსულტანტი.

მომდევნო რამდენიმე წელში ამ პროგრამების ჩატარება პირდაპირ კოლეჯების მიერ მოხდება და არა UNDP-ის პროექტების ფარგლებში, შესაბამისად ეს აისახება პროფესიული კოლეჯების სტუდენტებზე საბიუჯეტო ხაზით გათვალისწინებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტით გათვალისწინებული ვაუჩერების დაფინანსების დროს (თანხები უკვე გამოყოფილია)

5.4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება

			2016 წელი								
ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება	**ნაწილი კოდიდან 32 02 02**	**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა**	**0,3**	0,3	0,0	**0,0**	**0,0**	**0,0**	14,8	0,0	**14,8**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთლიანობაში 0.3 მლნ. ლარი გამოიყო, საიდანაც მხოლოდ 44 ათასი ლარი იქნა ათვისებული (15%).

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წელს საჯარო პროფესიული სკოლების მასწავლებლებისთვის მოდულური სწავლების, ინკლუზიური პროფესიული განვითარებისა და პედაგოგიკის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგები. ტრენინგები ქვეყნის ყველა რეგიონში ჩატარდა. 2016 წელს გადამზადებული მასწავლებლების რიცხვმა 2235 შეადგინა.

რეგიონების მიხედვით გადამზადებული მასწავლებლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთის რეგიონში დაფიქსირდა (17 ტრენინგ ჯგუფი, 325 მასწავლებელი), სადაც დაგეგმილი ტრენინგების გარდა პროფესიული მასწავლებლებისთვის პედაგოგიკაში საპილოტე კურსიც ჩატარდა. იგივე აქტივობები ჩატარდა სამეგრელო -ზემო სვანეთის, იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონების საჯარო კოლეჯებში (აქ პროფესიული განვითარების აქტივობებში შესაბამისად 136, 119 და 104 მასწავლებელი მონაწილეობდა). 2016 წელს პროფესიული განვითარების აქტივობები პირველად ჩატარდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სადაც ახალი საჯარო პროფესიული სკოლა ამოქმედდა.

გადამზადების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მასწავლებლები სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებიდან. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის ფარგლებში დაბალი აქტივობა აღინიშნებოდა გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, სადაც თითოეულ რეგიონში მხოლოდ ერთი საჯარო პროფესიული კოლეჯია და ისინიც სრულად ჩართულები არ არიან პროფესიულ სკოლებში მოდულურ სწავლების დანერგვასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

5.5 რეგიონებში საჯარო მოხელეთა გადამზადება

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016) (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.5 რეგიონებში საჯარო მოხელეთა გადამზადება		**რესურსები არ არის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩამოთვლილი; არ აქვს საბიუჯეტო კოდი**	**0,3**	0,0	0,3	**0,2**	**0,1**	**0,3**	**77,6**	**22,8**	**100,4**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ეს ღონისძიება ფინანსდება UNDP-ის მიერ. ღონისძიების ჩასატარებლად გამოყოფილმა თანხამ 0.3 მლნ ლარი შეადგინა და 2016 წელს პროგრამის მიერ ამ თანხის სრულად ათვისება მოხდა.

2016 წლის განხორციელების პროგრესი

2016 წლის განმავლობაში ტრენინგები შემდეგ თემებთან დაკავშირებით ჩატარდა: ინტერ-მუნიციპალური თანამშრომლობა, მართვის თანამედროვე მეთოდები, შიდა აუდიტი, ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული ჩარჩო, პოლიტიკის ანალიზი და შეფასება, საჯარო მოხელეების უნარები (ეფექტური კომუნიკაციის და წერითი უნარები), შესრულების შეფასება, საპროექტო წინადადების დაწერა, პროგრამული ბიუჯეტირება, რეგიონული განვითარება და სტრატეგიული დაგეგმვა, საჯარო სამსახურის რეფორმა,

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და დეცენტრალიზაცია, სპეციალური დაგეგმარება და ჯარისკაცთა გაწვევა.

ამ ტრენინგებში 76 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, შემუშავდა 16 ახალი ტრენინგის გეგმა და გადამზადდა 807 ადგილობრივი საჯარო მოხელე.

ამ ღონისძიების შედეგად საჯარო მოხელეების შეფარდებითი წილი, რომლებმაც ზემოთხსენებულ საკითხებში გაიარეს ტრენინგი, 2014 წლის 6.5%-იანი მაჩვენებლიდან 2016 წელს 32%-მდე გაიზარდა.

*** რეგიონული განვითარების ფონდი**

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016 წელი								
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი (31.12.2016)	საბიუჯეტო რესურსები	სხვა	რეალური დანახარჯები; მლნ ლარი			განხორციელების პროგრესი (%) (დეკემბერზე დაყრდნობით)		
						I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად	I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პროექტების დაფინანსება	**62 08**	**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების სახსრები**	**175,0**	**175,0**	**0,0**	68,5	105,3	**173,8**	39,1	60,2	**99,3**

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

ფონდის სახსრები ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. 2016 წელს მუნიციპალური პროექტებისთვის 2016 წელს 175 მლნ ლარი გამოიყო, დანახარჯმა 173.8 მლნ ლარი შეადგინა. დაფინანსდა 524 პროექტი.

2016 წლის თებერვალში (2015 წლისგან განსხვავებით) ფონდმა პროექტებთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად მუნიციპალიტეტებისთვის თანხები პირდაპირ გამოყო, ხოლო მუნიციპალიტეტებმა 2015 წელს თავიანთ ხარჯზე მოამზადეს პროექტირებისა და ანგარიშგების დოკუმენტები.

2016 წელს განხორციელების პროგრესი

2016 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგი სამუშაოები შესრულდა:

- 432.6 კმ-იანი გზის მონაკვეთის მშენებლობა/რეაბილიტაცია;

- 444.2 კმ წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა /რეაბილიტაცია და 18 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოწყობა;
- 86 საბავშვო ბაღის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 12 სპორტული ობიექტის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 8 კულტურული ობიექტის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 34.9 კმ გარე განათების მოწყობა;
- 11 ხიდის მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- 2.4 კმ ნაპირდაცვითი სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- 39.3 კმ სადრენაჟო სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- 369 მრავალსართულიანი კორპუსის რეაბილიტაცია /გადახურვა / ეზოების კეთილმოწყობა
- 12.3 კმ სანიტარული სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- 8 რეკრეაციული ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაცია;



2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემების მიხედვით, ხელშეკრულება გაფორმდა 523 პროექტზე და მათმა საერთო ღირებულებამ 174.7 მლნ ლარი შეადგინა. ტენდერების შედეგად დაზოგილი თანხებით (22.5 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა და შესაბამისად მოხდა საქართველოს მთავრობის დადგენილების ფარგლებში გამოყოფილი თანხების ჩასწორება. დანაზოგების გათვალისწინებით მთლიანობაში 197.2 მილიონის ღირებულების 524 პროექტი დაფინანსდა.